# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი, 27 თებერვალი. 2023 წ. №23 (9555) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბრძოლის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

კახა გოგოლაშვილი:

რუსეთი ამ ომის გამო შეიძლება დაიშალოს, მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობაც, რუსეთი გადარჩეს და კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული ქვეყანა გახდეს!



იხ. 2 გვ.

## ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში პუტინი და რუსეთი დაიღუპებიან!

კვალი დროში

## აკაკი ნადარეიშვილი – სიკეთემისჯილი მკურნალი და კაიყმა



5



4

## სააკაშვილი 500 დღეა, კვდება, მაგრამ...

ირაკლი გოგავა:

## ერთობ მიმზიდველია ენჯეოების დაფინანსების სახალხო, ანუ პოლონური მოდელი!



6



3

## GANGSTA'S PARADISE

პარტიიდან ჯერ სხვები მოიშორეს, ახლა ერთმანეთს ხოცავენ!

ალექსანდრე ლუკაშენკო:

## თბილისიც, სოხუმიც, მინსკიც უნდა შევიკრათ!



8



7

## პლუტონის რისხვა

ვოლოდიმირ ზელენსკის მხრიდან არაერთი საჯარო მოწოდების მიუხედავად, აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიიჩნევს, რომ „ჯერჯერობით“ უკრაინისთვის F-16 ტიპის უახლესი ამერიკული გამანადგურებლების გაგზავნა გამორიცხულია.

**„არა, ახლა მას (ზელენსკის) F-16 არ სჭირდება. ჯერჯერობით ამას გამოვრიცხავ“**, – განაცხადა ბაიდენმა. **კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უკრაინა ასეთ გამანადგურებლებს ვერასდროს მიიღებს, ბაიდენმა განაცხადა, რომ შეუძლებელია ზუსტად იმის ცოდნა, რა დასჭირდება უკრაინის თავდაცვას მომავალში, თუმცა „ჩვენი სამხედროების აზრით, არ არსებობს არანაირი საფუძველი, რითაც F-16 ტიპის გამანადგურებლების გადაცემის აუცილებლობა აიხსნებოდა“.**

## ბაიდენმა ზელენსკის თხოვნა ერთ ყურში შეუშვა, მეორედან გაუშვა

# 25 თებერვალი იქცა საქართველოს საბოლოო დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარი ბრძოლის დაწყების დღედ!

**1921 წლის 25 თებერვალს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთმა ყველაზე ტრაგიკულმა მოვლენამ მრავალი ჩვენი თანამემამულის – ახალგაზრდა იუნკრების, შეიარაღებული ძალების მებრძოლებისა და მოხალისეების, მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლე შეიწირა და მრავალი ათწლეულით შეცვალა ქვეყნის განვითარება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" დაწერა. მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ დღესაც სწორედ ისტორიული სიმართლე და სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა მაგალითი მიგვიძღვის წინ ახალი გამარჯვებებისკენ.

**„ამავე დროს, 25 თებერვალი იქცა საქართველოს საბოლოო დამოუკიდებლობისთვის შეუპოვარი ბრძოლის დაწყების დღედ. ჩვენი დღევანდელი თავისუფლება მათი დამსახურებაა, ვინც საკუთარი თავგანწირვით დაამტკიცა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, რომ საბოლოოდ ყოველთვის სიმართლე და ღირსება იმარჯვებს. დღესაც სწორედ ისტორიული სიმართლე და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მაგალითი მიგვიძღვის წინ ახალი გამარჯვებებისკენ, ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისკენ!..**

**ქუთაისში, გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში 1921 წლის თებერვალში დაღუპული იუნკრების ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.**

# მარადიული ხსოვნა ჩვენს იუნკრებს!

**ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გრიგოლ გიორგაძე, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, გენერალ-მაიორი ზაზა ჩხაიძე, ლიცეუმის ხელმძღვანელი პირები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ლიცეუმის კადეტები დაესწრნენ. მათ საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს და სამშობლოსთვის თავდადებული ახალგაზრდების ისტორიები კიდევ ერთხელ გაიხსენეს.**



**ღონისძიება ლიცეუმის ტერიტორიაზე გენერალ გიორგი კვინიტაძის ძეგლისა და მისი სახელობის სამუზეუმო კუთხის გახსნით დაიწყო. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელებმა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა მემორიალური კედელი გახსნეს. კადეტებმა ლიტერატურული კომპოზიციაც წარმოადგინეს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ოკუპაციის კვირეულთან დაკავშირებულ აქტივობებში ინტენსიურად მონაწილეობს. კვირეულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკრები და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის კადეტებიც აქტიურად არიან ჩართულები.**

# კახა გოგოლაშვილი: ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში პუტინი და რუსეთი დაიღუპებიან!



**რუსეთი ამ ომის გამო შეიძლება დაიშალოს, მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობაც, რუსეთი გადარჩეს და კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული ქვეყანა გახდეს!**



**„არ გამოვრიცხავ, კაპიტულაციის შემთხვევაში პუტინი მაინც დარჩეს რუსეთის ხელისუფლებაში, ძალიან ძნელია ამის წარმოდგენა, მაგრამ ეს შეიძლება მაინც მოხდეს. მაგალითად, სადამ ჰუსეინი, როდესაც ქუვეითში შეიჭრა და შემდეგ ის ამერიკამ განდევნა ქუვეითიდან, ამის მერე კიდევ 13 წელი იყო ხელისუფლებაში", – აცხადებს FOR.GE-სთან საუბრისას ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი, რონდელის ცენტრის მკვლევარი კახა გოგოლაშვილი.**

**– 1945 წლის შემდეგ ევროპის კონტინენტზე ასეთი მასშტაბის ომი არ ყოფილა, როგორიც უკრაინაში მიმდინარეობს. თითქმის 50 ქვეყანაა ამ ომში ჩართული უკრაინის დასახმარებლად და მეორე მსოფლიო ომის პრეცედენტი მეორდება, რადგან მაშინაც ასე მასობრივად დაირაზმნენ ფაშისტების წინააღმდეგ. ასეთი ძალთა თანაფარდობა როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის ომზე და რა პლუსები და მინუსები გამოკვეთა ამ ომმა, რამდენადაც უადგილო არ უნდა იყოს ომის დროს პლუსებზე საუბარი? აჩვენა თუ არა ევროპამ ერთიანობა, რაშიც პუტინს ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა?**

– მართლაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი მასშტაბური კონფლიქტი არ ყოფილა საერთოდ დედამიწაზე, თუ არ ჩავთვლით ერაყ-ირანის კონფლიქტს, რომელშიც მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. ყოველ შემთხვევაში, ევროპის კონტინენტს ასეთი მასშტაბური და გრძელვადიანი კონფლიქტი არ ახსოვს. რა თქმა უნდა, რუსეთ-უკრაინის ომი არ არის კლასიკური გაგებით მსოფლიო ომი, რადგან ოფიციალურად ჩართული მხოლოდ ორი მხარეა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თავისი მასშტაბებით თითქმის უტოლდება მსოფლიო ომს. აქ ვგულისხმობ არა სამხედრო მოქმედებებში ჩართულობას, არამედ სამხედრო მოქმედებების მხარდაჭერაში ჩართულობას.

**– ამდენი ხნის განმავლობაში კონფლიქტი ლოკალიზებული იყო რუსეთსა და უკრაინას შორის, მთავარი მოთამაშეები დელიკატურად უვლიდნენ გვერდს ერთმანეთს, მაგრამ ასე სადამდე შეიძლება გაგრძელდეს? ხომ არ არსებობს რისკი, უფრო ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაიზარდოს ეს ომი?**

– რისკები ყოველდღიურად იზრდება, რომ ეს კონფლიქტი უფრო ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში გადაიზარდოს, მათ შორის, შეიძლება ჩაერთოს ბელარუსი, შეიძლება ჩაერთოს რომელიმე ევროპული სახელმწიფო, რასაც შეიძლება მოჰყვეს უფრო მეტი აქტორების ჩართულობა, უფრო კონკრეტულად, ნატოს წევრი ქვეყნებისგან. მაგალითად, თუ ამ კონფლიქტში აღმოჩნდება პოლონეთი, ადრე თუ გვიან, ნატოს ქვეყნები აუცილებლად ჩაერთვებიან.

ამიტომ რისკები არსებობს, რომ მსოფლიო ომის მაგვარ კონფლიქტში გადაიზარდოს. ამ ომმა გამოკვეთა, რომ, პრინციპში, ევროპისთვის და, მთლიანობაში, დასავლეთისთვის ფასეულობებისა და ღირებულებებისთვის ბრძოლა არა მარტო ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას წარმოადგენს, არამედ რეალურად საომარი საშუალებებითაც კი ისინი მზად არიან დაიცვან დემოკრატია ევროპაში.

ამ შემთხვევაში, უკრაინის დაცვა ეს არ არის მარტო ტერიტორიული პრინციპების დაცვა, შეიძლება ითქვას, რომ ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვაა, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის დემოკრატიის დაცვაც, რომელიც უკრაინაში უკვე არსებობს და რომელსაც უტევს არალიბერალური ძალა, რაც არის რუსეთი.

ამ ომმა მოახდინა დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია მთელ მსოფლიოში, იაპონიამდე, აღარ დარჩა დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც არ გამოთქვამს უკრაინის დახმარების მზადყოფნას. ცივილიზებულ სამყაროში მიხვდნენ, რამდენად საჭიროა დემოკრატიის მხარდაჭერა ყველა მეთოდით და ხელთ არსებული ყველა რესურსით. ასევე, გაქარწყლდა ის შიშები, რომელიც ევროპაში არსებობდა რუსებთან კონფრონტაციის კონტექსტში და ეს შიში გამომდინარეობდა რუსეთზე ეკონომიკურ, ენერგოდამოკიდებულებაში. ასევე, არსებობდა შიში რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების კონტექსტში, ბირთვულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით, მაგრამ ევროპაში არსებული ეს შიშიც, ასე თუ ისე, გაქარწყლდა და ამ შიშებზე მაღლა დადგა მთლიანად ევროპა.

**– თუმცა პუტინი დღესაც იმეორებს, მზად იყავით ატომური იარაღის ტესტირებისთვისო, ამით პუტინი რას მიანიშნებს?**

– რა თქმა უნდა, პუტინი ამას ამბობს, მაგრამ ყოველდღიურად სულ უფრო მეტად ჩანს, რომ რუსეთი არ არის მზად ბირთვული იარაღის გამოსაყენებლად, რადგან, პირველ რიგში, თვითონ დაიღუპება!

**– ავღანეთში მარცხის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა, ახლაც დაახლოებით ასეთივე პროცესები მიმდინარეობს. ფაქტია, ამ ომის შემდეგ ნატო აღმოსავლეთის ფრონტზე ბევრად უფრო გაძლიერდა, ფინეთი, შვედეთი ნატოში შედის, რასაც პუტინი ვერც კი წარმოიდგენდა, ასევე, თურქეთი აჩვენებს თავის ძალას და არა მარტო კავკასიის, არამედ უკრაინის პროცესებშიც აქტიურად ერევა. ეს ნიშნავს, რომ პუტინის ირგვლივ სამყარო იცვლება. პუტინისთვის ეს ომი ავღანური მარცხის განმეორება ხომ არ იქნება, მთელი შემდგომი დაღმასვლის პროცესებით?**

– ამაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. რა თქმა უნდა, არსებობს შესაძლებლობა, რომ, საბოლოო ჯამში, რუსეთი ამ ომის გამო დაიშალოს, მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობაც, რუსეთი გადარჩეს და კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული ქვეყანა გახდეს ჩრდილო კორეასავით. შეიძლება პუტინი შეცვალოს ისევ რომელიმე ანტიდემოკრატიულმა ძალამ. შესაძლოა, რუსეთში სამხედრო დიქტატურაც კი დამყარდეს. არ გამოვრიცხავ, თავად პუტინიც დარჩეს ხელისუფლებაში, თუკი დაკარგავს ოკუპირებულ ტერიტორიებს და კაპიტულაციას მოაწერს ხელს შემდეგი პირობებით, რომ არ შეეხებიან რუსეთს და რუსეთი ტერიტორიებს დააბრუნებს ყირიმის ჩათვლით.

იხ. 8 გვ.

## აშშ-ის საელჩო:
# რევანშისტული რუსეთი აგრძელებს მეზობლების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრას

**აშშ-ის საელჩო 25 თებერვლის წლისთავში წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხედავს, ვინაიდან რევანშისტული რუსეთი აგრძელებს საკუთარი მეზობლების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრას,** – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

**„მათი განზრახვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამხობა იყო. ამ ქმედებით დაირღვა 1920 წლის მოსკოვის ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთი პირობას დებდა, პატივი ეცა საქართველოს სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევისთვის. ამას მოჰყვა საბჭოთა ოკუპაციის შვიდი ათწლეული, რომლის განმავლობაშიც საქართველომ დაკარგა უამრავი მოქალაქე, ვინც ტირანიის წინააღმდეგ ხმის ამოღება გაბედა. წელს აშშ-ის საელჩო 25 თებერვლის წლისთავში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ხედავს, ვინაიდან რევანშისტული რუსეთი აგრძელებს საკუთარი მეზობლების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის ძირის გამოთხრას.**

**ევროატლანტიკური საზოგადოება არის ერთიანი და ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, წინ აღვუდგეთ რუსულ აგრესიას და მხარი დავუჭიროთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას“.**

### „წლისთავზე“

**წარმოიდგინეთ, ლეგენდარული ლევიტანი რომ ცოცხალი იყოს, როგორი გარიტონით დასჭექავდა: „ლაპარაკობს კიევი“!**

მერე რა, რომ მას თანამემამულეთათვის მტრის თავდასხმის შესახებ კი არ უნდა ეუწყებინა, არამედ – პირიქით, თანაც ერთი წლის შემდეგ, ანუ თითქოს საზეიმო თარიღი იყოს, ვთქვათ – გამარჯვების დღე. მსგავსი არაფერი – რატომღაც დოლ-გარმონის გასაჩაღებელ საბაბად უკრაინელთა სამამულო ომის დაწყების წლისთავი მიიჩნიეს!

ასეთი ლოგიკის მიხედვით, სტალინს ხუთწლიანი, მანამდე არნახული სისხლისღვრის განმავლობაში ყოველი წლის 22 ივნისს სამშობლოში მოკავშირეთა ლიდერების თუ არა, ელიტის წარმომადგენელთათვის მაინც უნდა ემასპინძლა. გსმენიათ რამე მსგავს ღონისძიებათა თაობაზე?

კიდევ უფრო სალაღობოდ გამოიყურება დნეპრის ნაპირებზე გამგზავრებულ ქართველ ოპოზიციონერთა დესანტის შემადგენლობა. დიახ, თუ „ლელოს“ თვით ხაზარაძე თავკაცობს, გულდათუთქულმა ნაცებმა


„ლელოს“ ლიდერები კიევის მერ ვიტალი კლიჩკოსთან შეხვედრაზე

# გული გულობდეს და...

ერთგულ თანამებრძოლებთან შედარებით წვრილფეხობა მიავლინეს, სადაც, არც მეტი, არც ნაკლები, წითლიძისთვისაც კი გამოიძებნა ადგილი. ისე, კიდევ კარგი, თორემ პარტიის ქორფა თავკაცი ხაზეიშვილი რომ გარეულიყო ევროპელთა მარაქაში, წარმოიდგინეთ, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა თავისი ინტელექტით შეკრებილ საზოგადოებაზე.



კი მაგრამ, სად არის ამ დროს „აღმაშენებლის“ სწორუპოვარი სტრატეგოსი ვაშაძეო – იკითხავთ ალბათ, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენი ყოფილი ხელისუფლების კრიმინალ მაღალჩინოსანთა თავშესაფრად ქცეულ სახელმწიფოში მასაც ხშირი ვიზიტები გამოარჩევდა. ეტყობა, რუსთაველზე უფრო საჭიროდ ჩათვალა ყოფნა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ, როგორც ზოგ-ზოგიერთები ამბობენ, „ჭიჭეს“ უკრაინაში დალაგებული ბიზნესები არევია და იქ, თურმე, აღარ ჩაესვლება.

სამაგიეროდ, შეგიძლიათ, შვებით ამოისუნთქოთ – კიევის ჰაერი კიდევ ერთხელ ჩაისუნთქა რამდენიმეწევრიანი „დროას“ თხუპნია შეფინია ხოშტარიამ.

მოკლედ, ძაღლი შინ არ ვარგოდა, გარეთ გარბოდაო, ისეა ამ ჩვენი შემარცხვენელი ჭრელი ოპოზიციის საქმე.

იარონ, იარონ, იარონ. ამინ! – იქნებ, ორიოდე დღით მაინც დაგვასვენონ...

**როსტომ რაჭველიშვილი**

# პარტიიდან ჯერ სხვები მოიშორეს, ახლა ერთმანეთს ხოცავენ!

**ნაცების“ ახალ „ბოსებს“ შორის ძალაუფლებისთვის დაპირისპირება დაიწყო – ხელისუფლების თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ მერაბიშვილსა და კეზერაშვილს შორის ბზარები გაჩნდა. სავარაუდოდ, ვანო მერაბიშვილი პარტიაში გავლენების გაძლიერებას ცდილობს, რის გამოც მას დავით კეზერაშვილთან უკმაყოფილება მოუვიდა. სავარაუდოდ, პარტიაში ე.წ. განგსტერული გარჩევები დაიწყება, რომელსაც მერაბიშვილის ძალაუფლება და კეზერაშვილის ფული დაუპირისპირდება. საბოლოოდ კი ის ჯგუფი გაიმარჯვებს, რომლის წარმომადგენლებიც 2024 წელს პარლამენტში შესვლას შეძლებენ.**

ახალი ხელმძღვანელობის ტაქტიკამ პარტიიდან წევრების წასვლაც განაპირობა. „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების გადაწყვეტილება **რომან გოცირიძემ,** იდეოლოგიურ განსხვავებებთან ერთად, იმითაც ახსნა, რომ მისთვის მიუღებელი იყო პარტიის მიერ არჩეული სტრატეგია. ახლა უკვე ყოფილი ნაციონალი პარტიის წევრებს ბოიკოტზე უარის თქმისკენ მოუწოდებს.

**„ყველამ ვიცით, რომ ხაზეიშვილი არის ფორმალური თავმჯდომარე. რეალურად კეზერაშვილი და მერაბიშვილი მართავენ პროცესებს – კეზერაშვილი საზღვარგარეთიდან, მერაბიშვილი ქვეყნის შიგნით და მათ შორისაც გაჩნდა პირველი ბზარი, ამაზე გვაქვს ჩვენ ინფორმაცია. ანუ, მერაბიშვილსაც უნდა, რომ უფრო მეტად მოძლიერდეს და ეს პატარ-პატარა დაპირისპირებები და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფრის გამოვლინებაა. კიდევ უფრო მეტად დაიშლებიან ისინი, კიდევ უფრო მეტად გაიყოფიან. ამ გავლენისთვის ბრძოლაში ერთმანეთის დაჭმას ეცდებიან. კარგია, კარგია ძალიან ეს პროცესი“,** – განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ**.

**გია აბაშიძე** აცხადებს, რომ ვანო მერაბიშვილსა და დავით კეზერაშვილს შორის რომ ბზარი გაჩნდებოდა ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ორივე მათგანს ძალაუფლების ხელში ჩაგდების დაუცხრომელი სურვილი აქვს. ისინი დაპირისპირებულები მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც იყვნენ და მათ დაბალანსებას სააკაშვილი მუდმივად ცდილობდა. ახლაც იგივე სიტუაციაში არიან, ისინი რეალურად ერთმანეთს თვალის დასანახად ვერ იტანენ, მაგრამ სხვა გზა არა აქვთ.

**„ფაქტია, ვანო მერაბიშვილი დიდი ხნის განმავლობაში ლევან ხაბეიშვილის ზურგს უკან არ იდგება. მის მიერ მიცემული ინტერვიუც სწორედ ამის ნიშანია. თუმცა, მან 20 თებერვალს მცირერიცხოვან აქციაზე გამოჩენა და მასთან ასოცირება არ ისურვა. ფაქტია, ის რაღაცებს მიზანმიმართულად აკეთებს და, დიდი ალბათობით, კეზერაშვილის გავლენისგან თავის გათავისუფლებას ცდილობს. ამ ორ ადამიანს შორის მტკიცე პარტნიორული ურთიერთობა რომ არ იქნება, ყველა კარგად ხვდება. ისინი რეალურად ერთმანეთს თვალის დასანახად ვერ იტანენ. ერთმანეთზე მუდმივად ეჭვიანობენ და ძალაუფლებისთვის ისე გაიმეტებენ ერთმანეთს, თვალსაც არ დაახამხამებენ. ამ პარტიაში დროებით გაერთიანებული რევანშისტები არიან, რომლებიც ფიქრობენ ხელისუფლება და ქვეყანა რაც შეიძლება მეტად დააზიანონ. ისინი ცდილობენ ქვეყანაში ვითარება არიონ და ამით ხელი მოითბონ. მათ რეალურად არც სააკაშვილი და არც პარტია არ ადარდებთ. მთავარია პოლიტიკაში შემოვიდნენ და მათი პოლიტიკური რეანიმაცია მოხდეს. ერთი სურვილი აქვთ, როგორმე ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. „იმედმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დავით კეზერაშვილი სააკაშვილის დროინდელ მაღალჩინოსნებთან ერთად ცდილობს, რომ ახალი ბრიტანული ლობისტური კომპანია დაიქირავოს. ეს არის უშედეგო მცდელობა, რადგან არ ვფიქრობ, რომ რეალურად კეზერაშვილს სააკაშვილის ბედი ანაღვლებდეს. მან პარტია უკვე ხელში ჩაიგდო. მეორე მხრივ კი მერაბიშვილს სურვილი და ამბიცია აქვს, რომ პარტიაში მეტი გავლენა ჰქონდეს. ამაში კი არც კეზერაშვილი და არც სხვა არავინ ჩაერიოს. შიდა ბრძოლა და დაპირისპირება ახლა ამის გამო დაიწყება“,** – ამბობს აბაშიძე.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** ფიქრობს, რომ თუკი მერაბიშვილსა და დავით კეზერაშვილს შორის დაპირისპირება რეალურად არსებობს, ალბათ, ეს გავლენისთვის ბრძოლაა. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ენმ პოლიტიკური პარტია კი არა განგსტერების თავშესაფარი გახდება, სადაც წინა პლანაზე ფული და ძალაუფლებაა წამოწეული.

**„მგონია, რომ ვანო მერაბიშვილს ენმ-ში უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე დავით კეზერაშვილს. თუმცა მერაბიშვილის ხელში ფული არაა, რომელიც ძალიან საჭიროა. ამიტომ ამის მიხედვით პარტიაში ძალთა გადანაწილება ხდება. მათ მელიას გუნდზე უკვე გაიმარჯვეს, ეს პრობლემა მოეხსნათ. ნახევარი პარტია საერთოდ ჩახსნეს და ისინი, უბრალოდ, პარტიის წევრებად ფორმალურადღა ითვლებიან. დარჩათ პარტიის მეორე ნახევარი და ფიქრობენ, თუკი მიხეილ სააკაშვილის სახელი მათთან დაკავშირებული იქნება, 2024 წელს პარლამენტში მაინც შევლენ, ანუ 5%-იან ბარიერს გადალახავენ და დანარჩენი არ ადარდებთ.**

**ახლა შეიძლება უკვე განგსტერული ისტორიები რომ არის, ის ხდება - ჯერ მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა პარტიიდან სხვები მოიშორეს, ახლა ერთმანეთის დახოცვაზე გადავიდნენ. ძალაუფლება, რომ სრულად რომელიმე მათგანს დარჩეს. კეზერაშვილს, ალბათ, უფრო ფული აქვს და მერაბიშვილს, ალბათ, უფრო ძალაუფლება. ახლა ფული უპირისპირდება ძალაუფლებას, ან ძალაუფლება – ფულს. ფაქტია, რომ მათ შორის ეს პრობლემა გაჩნდებოდა, რადგან ამ დონის ორი ფიგურა ერთად ბოლომდე არსებობას ვერ შეძლებს. ვნახოთ, ვისი გადაწონის, იმის მიხედვით გავიგებთ პარლამენტში ვისი ხალხიც უფრო მეტი შევა“,** – ამბობს ზაქარეიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**



მერაბიშვილსა და კეზერაშვილს შორის მტკიცე პარტნიორული ურთიერთობა რომ არ იქნება, ყველა კარგად ხვდება. ისინი რეალურად ერთმანეთს თვალის დასანახად ვერ იტანენ. ერთმანეთზე მუდმივად ეჭვიანობენ და ძალაუფლებისთვის ისე გაიმეტებენ ერთმანეთს, თვალსაც არ დაახამხამებენ.

# სააკაშვილი 500 დღეა, კვდება, მაგრამ...



**მიხეილ სააკაშვილი** „ვივამედის“ ექიმებს ულტიმატუმს უყენებს – რეკომენდაციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს თუ იქნება თავისუფალი. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე „ვივამედის“ კლინიკურმა დირექტორმა **ზურაბ ჩხაიძემ** განაცხადა, რომ სააკაშვილს აქვს სრულიად შეუგუებლობა იმ პირობებისადმი, რაშიც იმყოფება. მისი თქმით, ნებისმიერი პატიმრის მიზანი არის თავისუფლების მოპოვება, მაგრამ ვერ დაუშვებენ, ეს მოხდეს კლინიკის ავტორიტეტის და ექიმების კომპრომეტირების ხარჯზე. ჩხაიძე სახალხო დამცველის კონსილიუმს მეტი თანამშრომლობისკენ მოუწოდებს.

**„არც პირველ, არც ბოლო შემთხვევაში მსგავსი არაფერი ყოფილა, არც ანალიზები ყოფილა ნანახი, არც კვლევის შედეგები და სხვა ინსტრუმენტალური კვლევის შედეგები. უბრალოდ, განცხადებების კეთება კლინიკის კიბეებზე და რაღაც ახალი დიაგნოზები, კუჭის პარეზი ახსენეს, მგონი, რის საფუძველზე, როდესაც კვლევის შედეგი არ არის ნანახი. კუჭის პერისტალტიკა შენარჩუნებულია, ეს დადასტურებულია ფიბროგასტროსკოპიული საშუალებითაც. ჩვენ ვისურვებდით მათთან მეტ თანამშრომლობას, რომ დაინტერესდნენ კვლევის შედეგებით და მოისმინონ ჩვენი აზრიც“,** – განაცხადა **ზურაბ ჩხაიძემ.**

რაც შეეხება ოჯახის და ადვოკატის განცხადებას, რომ სააკაშვილი წონაში სწორედ ავადმყოფობის მიზეზით იკლებს, არ ადასტურებს ენდოკრინოლოგი **სოფო მებუკე,** რომლის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის წონაში კლება ენდოკრინოლოგიური კუთხით გამოირიცხა და მადის დაქვეითება ფსიქოემოციურ ფონზეა განვითარებული. მისი თქმით, სააკაშვილი დღემდე აგრძელებს თავისი სურვილისამებრ შერჩეული საკვები პროდუქტებით კვებას.

**„თითქმის ცხრა თვე-ნახევარი სრულდება, რაც პაციენტი ჩვენთან იმყოფება და ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, ფაქტობრივად, ყოველდღიურად ენერგეტიკული ბალანსი არის უარყოფით რეჟიმში, რაც ნიშნავს, რომ პაციენტი იღებს დაახლოებით მესამედ ან მეოთხედ კალორაჟს, ვიდრე მას ესაჭიროება. ოჯახის მიერ მოტანილი საკვებიდან დაახლოებით 600 კალორიამდეა (ზოგჯერ მესამედიც), რასაც ის იღებს, მაგრამ არა იმას, რასაც ჩვენ ვთავაზობთ.**

**არის, ფაქტობრივად, ყოველდღიური მცდელობა დარწმუნების, რომ პაციენტი თავად მივიდეს გადაწყვეტილებამდე, დაგვთანხმდეს იმ სახის კვებაზე, რომელიც მას ამ ჩიხიდან გამოიყვანს, გააუმჯობესებს მის მდგომარეობას, რაც გამოწვია წონის კლებამ. პაციენტის და ჩვენი მხრიდან უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული, საერთო ინტერესი, რომელსაც ექნება ერთადერთი მიზანი – პაციენტის გამოჯანმრთელება და კარგად ყოფნა“,** – განაცხადა **სოფო მებუკემ.**

„ვივამედის“ კლინიკის წარმომადგენლების განცხადებას სოციალური ქსელით გამოეხმაურა მსჯავრდებული **მიხეილ სააკაშვილი**:

**„კლინიკა „ვივამედის“ ექიმების პრესკონფერენციაში სიმართლე მარტო ის იყო, რომ ჩემი სიტუაცია მძიმეა და სწრაფად უარესდება და, რომ, პრაქტიკულად, კლინიკა ვერაფერს აკეთებს. დანარჩენი ყველაფერი იყო ტყუილი. ამ კლინიკაში უარი თქვეს ჩემი მთავარი დაავადებების მკურნალობაზე. კერძოდ, მძიმე მეტალებით მოწამვლის, ანორექსიის და კახექსიის მკურნალობაზე.**

**არავის ისე არ სურს სიცოცხლე, როგორც მე! მინდა მოვესწრო უკრაინის გამარჯვებას, რაც ხელის გაწვდენაზეა და ყველა პუტინისტის აღსასრულს. მინდა მივმართო ოლიგარქის გოშიას, 1 მილიონი კი არა 1 თეთრი არ წამიღია საქართველოდან და სადმე ამდენი ფული რომ მქონდეს, ბოლო მიწის ნაკვეთს არ გავყიდიდით ადვოკატების ხარჯებისთვის დასაფარად.**

**სიმართლე არის ერთი, ყველაფერი ეს ჯდება მარია ზახაროვას განცხადების კონტექსტში. ჩვენ ვიმყოფებით ჩემი მკვლელობის სპეცოპერაციის დამასრულებელ ეტაპზე და ამაში მონაწილეობენ ყველა, „პარლამენტარები“, „ჟურნალისტები“, ახლა უკვე კლინიკა. მოვუწოდებ საქართველოს და მსოფლიოს, არ მისცენ ამ დანაშაულებრივ კორპორაციას თავისი ბოროტი ზრახვების აღსრულების უფლება“,** – წერს **მიხეილ სააკაშვილი.**

მსჯავრდებული ექს-პრეზიდენტის ადვოკატი, **შალვა ხაჭაპურიძე** ამბობს, რომ კლინიკა „ვივამედი“ თავდაცვის რეჟიმში გადავიდა და მომაკვდავი სააკაშვილის სულიერი და მორალური განადგურებისთვის ყველაფერს აკეთებენ. მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილის ფიზიკური განადგურება უკვე სახეზეა.

**„ზურა ჩხაიძემ განაცხადა, რომ არაფრით არ დაუშვებს კლინიკის რეპუტაციისა და იმიჯის შელახვას. რას ემსახურებოდა დღევანდელი ბრიფინგი? კლინიკა „ვივამედი“ თავდაცვის რეჟიმში გადავიდა! სად არის აქ პაციენტის ინტერესები და უფლებები? ხვდებით ვის ხელშია სააკაშვილის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება? ისედაც მომაკვდავ მდგომარეობაში მყოფი სააკაშვილის სულიერი და მორალური განადგურებისთვის ყველაფერს აკეთებენ. ფიზიკური განადგურება უკვე სახეზეა!**

**მივმართავ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ყველა წამყვანი ქვეყნების ლიდერებს, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლის უფლება ფუნდამენტური ღირებულებაა - მოუწოდეთ გამოცხადებულ ჯალათებს, ვინც ამ გამოცხადებულ სიკვდილის ქრონიკაში მონაწილეობას იღებს, შეაჩერონ ეს მარაზმი და მისცენ ადამიანს სიცოცხლის უფლება! საქართველოს კონსტიტუციით „ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია!“** – აცხადებს **შალვა ხაჭაპურიძე.**

სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ისაუბრა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ,** რომლის განცხადებით, ეს არის კორუმპირებული, ღირსებისგან დაცლილი ოჯახი და არ არის გასაკვირი, რომ საკუთარ შვილთან და ძმასთან არ მიაქვთ სათანადო კალორაჟის საკვები. მისივე თქმით, 500 დღეზე მეტია აბსურდში ვცხოვრობთ, 500 დღეზე მეტია ამტკიცებენ, რომ კვდება და კიდევ 5000 დღე შეიძლება გაგრძელდეს ეს აბსურდი.

**კითხვაზე – მართლაც რომ დადგეს მსგავსი შედეგი, ვისზე იქნება პასუხისმგებლობა?** – კობახიძე აცხადებს, რომ **თვითდაზიანებაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ის, ვინც ამას ახორციელებს. კობახიძემ ამის მაგალითად გელბიის ციხეში 3-კვირიანი შიმშილობის შემდეგ ქართველი პატიმრის გარდაცვალების ფაქტი დაასახელა და აღნიშნა, რომ ესეც იყო თვითდაზიანება.**

**„გასაგებია, რომ სააკაშვილს აქვს პოლიტიკური ინტერესი, დაიკლოს წონაში, ეს არის მისთვის ინსტრუმენტი, რომ მისმა პატრონებმა ისაუბრონ მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაგრამ როცა მისივე ოჯახი ახორციელებს ქმედებებს, რომელიც პოტენციურად ზიანს შეიძლება აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ეს გამაოგნებელია, აქედან ჩანს, რა ოჯახთან გვაქვს საქმე.**

**ზოგადად, ეს არის კორუმპირებული ოჯახი. ყველამ ვიცით, ოჯახის თითქმის ყველა წევრი ჩართული იყო კორუმპირებულ საქმიანობაში, სააკაშვილის ოჯახს აქვს მარტო საქართველოში 170 მილიონის ქონება მოხვეჭილი ხალხის ხარჯზე, ამოვარდა ახლა FARA-ს კანონის საფუძველზე, დეკლარაციაშია, რომ აშშ- ში აქვთ არაერთი ბინა და უძრავი ქონება ნაყიდი.**

**ჩვეულებრივი კორუმპირებული, ღირსებისგან დაცლილი ოჯახია და ასეთი ოჯახისგან არც ის გვიკვირს, რომ საკუთარ შვილთან და ძმასთან არ მიაქვთ სათანადო კალორაჟის საკვები. ეს უბრალოდ კატასტროფაა, მეტყველებს იმაზე, რომ ყოველგვარი სიწმინდისგან არის დაცლილი ოჯახი. პენიტენციურის მიერ მიღებულ საკვებს არ იღებს, ნათქვამი აქვს რომ მხოლოდ ოჯახის მიტანილ საკვებს მიიღებს და ოჯახს შეგნებულად მიაქვს დაბალი კალორაჟის საკვები. ეს უბრალოდ გამაოგნებელია“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

**მართა ლაზაძე**

# მაზაკვალი გახარია როყიო და „კერკეტი კვერცხიც“ ყოფილა!



ქვეყნის ყოფილი მეთაური, **გიორგი გახარია,** ამჯერად, სამზეოზე **ბიძინა ივანიშვილის** კრიტიკით გამოჩნდა, ჩვეულებისამებრ, „ქართულ ოცნებასაც“ გადაწვდა და გაგვაფრთხილა: **„ხელისუფლება საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ მომავალს და ქვეყანას ევროატლანტიკურ პერსპექტივას უკარგავს“.**

გახარიამ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე პასუხისმგებლობა ბიძინა ივანიშვილსა და მმართველ გუნდს დააკისრა და იქვე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“ გააკრიტიკა. იგი ყოფილ თანაგუნდელებსაც დაემუქრა, რომ ყველას პირადი პასუხისმგებლობა დაეკისრება.

მისივე თქმით, ივანიშვილი არც პროამერიკელია, არც პროევროპელი და არც პრორუსი, ის პროთავისია.

**„მე ვიცი, უბრალოდ, რომ დღეს, ამ პატარა შეშინებულ ბიჭებს არანაირი უნარი არ შესწევთ ქვეყნის საგარეო ორიენტაციის ცვლილების. რა თქმა უნდა, ივანიშვილის გარეშე ვერ მოხდება ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილება და ეს არის სწორედ მიუღებელი, როცა დამალული ადამიანი (ბიძინა ივანიშვილი), კულისებიდან მარიონეტების გამოყენებით ცდილობს ქვეყნის საგარეო ორიენტაციის ცვლილებას, ესაა კრიტიკული ხაზი. ის ყველას ჩამოართმევს ხელს იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, ეს არის მისი მთავარი მიზანი.**

**ჩვენი ხელისუფლების ძალაუფლების სისტემა იმდენად ავტორიტარულია, რომ, უბრალოდ, მიუღებელია და არ არის თავსებადი ევროპულ ფასეულობებთან“...**

იხ. 9 გვ.

# აკაკი ნადარეიშვილი – დიდი პროფესიონალი, სიკეთემისჯილი მკურნალი და კაიყმა

**ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის შემოსასვლელ კართან დავხვდი. ხუთსართულიანი დისტანციის დაფარვა ისე უპრობლემოდ შეძლო, ხელჯოხი ფორმალობად მომეჩვენა. არადა, ისევ ისე ხალისიანად გამოიყურება, როგორიც ათწლეულების სიღრმიდან, გამომცემლობა „სამშობლოში“ მისი თითოეული მობრძანებიდან მახსოვს და თითქოს არაფერი ეტყობა მისი და ცხოვრების რჩეულის, გინეკოლოგ ლიკა ბულისკერიას გულებში გაჩენილი უზარმაზარი ნაპრალების – ორი ვაჟკაცისა და ოდაბადეს დაკარგვისა. ეს ისე, ერთი შეხედვით, თორემ...**

რადგან ზემოთ კალმოსანთა მონატრებული სახლი ვახსენე, გავხსნი ფრჩხილებს და მოგახსენებთ, რომ იქ, ჩვენი გაზეთის რედაქციაში, **აკაკი ნადარეიშვილს** ძველი მეგობარი, უტკბილესი სტუდენტობისდროინდელი „თანაკურსელი გოგონას“ (მისი სიტყვებია) დაგმარა წერეთლის მეუღლე, სულმნათი ვილენ მარდალეიშვილი მასპინძლობდა, რომელმაც საქართველოს მკერდმოჭრილი აფხაზეთის ზღვისპირეთში დაფრთიანებული „მამაკაცის მეორე გულის“ მკურნალ უროლოგს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა სალბუნად:

**შენ დღედაღამ აფხაზეთი გტკივა,**
**შენს გაძლებას კოკა, ძმაო, „ვივა“!**
**შენი სისხლი სოხუმისთვის ჰყივა,**
**მაგნოლიებს იქ ყვავილი სცვივა...**
**ამბობ: მივალთ, ჩვენ ფსოუმდე მივალთ,**
**ამბობ: მივალთ, ბიჭვინთაშიც მივალთ,**
**გწამს: აფსუა დაიკვნესებს: „ვავა“!**
**გწამს: ქართველი დაიჭექებს: „ვივა“!**

სხვათა შორის, აფხაზური სეპარატიზმის ციტადელის – გუდაუთის მკვიდრსა და იქაური ილია ჭავჭავაძის სახელობის №1 ქართული საშუალო სკოლის აფხაზური ენის მცოდნე კურსდამთავრებულს ადგილის დედიდან ისევ უგზავნიან ოცლიტრიანი ჭურჭლით „ადესის“ მადლიან ღვინოს, მის დღემდე ხელუხლებელ სახლს კი სათუთად უვლიან გუდაუთელი მეზობელ-მეგობრები და მოუთმენლად ელოდებიან მასთან საფიცარ მიწაზე შეხვედრას.

ზოგისთვის, ალბათ, ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ძმათამკვლელი ომის დროს ბატონი კოკასა და მისი კოლეგა უფროსი ძმის, ბატონი გივის მშობელი დედა აფხაზმა მეზობლებმა არაფრით არ გამოატანეს შვილებს ენგურსგამოღმა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, საპატიო მძევლობაში დაიტოვეს და ცივ ნიავს არ აკარებდნენ. დღეს ქალბატონი დავლინა ვერის სასაფლაოზე განისვენებს. აღსანიშნავია, რომ ყველგან, სადაც კი უმოღვაწია, ჩვენი წერილის გმირი განსაკუთრებულ მზრუნველობას სწორედ ზღვისპირელ თანამემამულეთა მიმართ იჩენდა – ბევრი მათგანი ხომ დღემდე არ მალავს ქართველებისადმი სიმპათიას, გრძნობები და ურთიერთგატანა კი, როგორც სწამს, ორმხრივი უნდა იყოს.

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია თანამედროვეობაში საკმაოდ გაუბრალოებული სიტყვა „მოღვაწეობა“ – მართლაც რომ საამაყოა თეთრხალათიანი მამულიშვილის დამსახურებათა და წოდებათა ნუსხა: პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 10-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი საქართველოს რადიოლოგთა გამგეობისა და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის წევრია. ეს, რა თქმა უნდა, ბატონია კაკის სადარბაზო ბარათის მხოლოდ ძირითადი შტრიხებია.

როგორც ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებულ მედიკოსს, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით გამორჩეულ პიროვნებას, 2021 წლის ოქტომბერში თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ყველაფერი კი უკვე შორეულ 1962 წელს დაიწყო, როცა სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკაში მუშაობის პარალელურად ორწლიანი საბუღალტრო სკოლა დიპლომზე დაამთავრა და რკინის რექტორის პეტრე გელბახიანის ეპოქაში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. თვითონვე უსვამს ხაზს, რომ ის და აწგანსვენებული ფრიდონ თოდუა თანაკურსელები მაშინ გახდნენ. ლეგენდარულ ბატონ ფრიდონთან მის სამაგალითო თანამშრომლობაზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი...




იყო უროლოგიის სპეციალობით კიევში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ხუთი თვით გამგზავრება, რასაც მოჰყვა მოსკოვის სეჩენოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში უროლოგიის კათედრაზე გაღრმავებული პრაქტიკული ცოდნა. იქვე დაამთავრა ასპირანტურა და განაგრძო სპეციალობით მუშაობა ჯერ ორდინატორად, ხოლო მოგვიანებით კლინიკის ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად და დედაქალაქის კრასნოპრესნენსკის რაიონის მთავარ უროლოგად.

თითქოს მეტი რაღა უნდა ენატრა კარიერულ კიბეზე ღირსეული ნაბიჯებით დაწინაურებულ უკვე სახელოვან კლინიცისტს, მაგრამ გასული საუკუნის მღელვარე 90-იან წლებში სამშობლოში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა უკარნახა 20 ქართველ კოლეგასთან ერთად ბატონი ფრიდონის თავკაცობით რუსეთი დაეტოვებინა და თბილისში დაბრუნებულიყო.

ვიდრე პირობას შევასრულებ, გავიხსენოთ ის ტიტანები, ვის პედაგოგიურ ამაგსაც ყოველთვის მადლიერებით აცნობს საზოგადოებას დღეს უკვე 80 წლის იუბილარი: ეგნატე ფიფია, შიო გუგეშაშვილი, კოტე ვირსალაძე, დავით იოსელიანი, ყარამან ფაღავა...:. დამეთანხმებით, ასეთი თანავარსკვლავედი ნებისმიერ ერს დაამშვენებდა.

ახლა კი მთავარზე:

აკაკი ნადარეიშვილი ზემოთ დასახელებული ოცეულიდან ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ბოლომდე უერთგულა ბატონ ფრიდონს და ბოლომდე მის მარჯვენა ხელად დარჩა ერთ დროს თოდუას სადიაგნოსტიკო ცენტრის, ამჟამად კი მისივე სახელობის ევროპაში სახელმოხვეჭილი კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – ულტრათანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ჯანმრთელობის კერის აღმასვლის პროცესში. უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალთა საბუდარის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნიერო დარგში იმავდროულად ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილებასაც უძღვებოდა. მისი დამსახურებაა, რომ აღნიშნულ სეგმენტში დაინერგა სხვადასხვა სახის ულტრაბგერითი გამოკვლევები, დიაგნოზის დასადგენად ულტრაბგერითი კონტროლით ტარდება პროსტატის ბიოფსია, რის შემდეგაც მიმდინარეობს როგორც კონსერვატიული, ისე ქირურგიული მკურნალობა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ იქვე წარმოებს თავის ტვინის მაგისტრალური სისხლძარღვების დუპლექს-სკანირება ფერადი და ენერგეტიკული დოპლერის რეჟიმში, აგრეთვე ზედა და ქვედა კიდურების, სარძევე, ფარისებრი ჯირკვლებისა და პერიფერიული ლიმფური კვანძების ულტრაბგერითი გამოკვლევები. მოკლედ, ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა...

ბევრი, ალბათ, აქ დასვამდა წერტილს – მეტად როგორღა უნდა შევაფასოთ სამამულო მედიცინის განვითარებაში აკაკი ნადარეიშვილის მიერ შეტანილი უზარმაზარი წვლილიო, მაგრამ სრული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებლად უნდა მოვუსმინოთ ბატონ ფრიდონ თოდუას:

**„9 აპრილის შემდგომ საქართველოში დაბრუნებულ ჭეშმარიტად ახალგაზრდულად შემართულებს გვეგონა, რომ მალე ჩვენი ქვეყნისგან ახალ შვეიცარიას ავაშენებდით, მაგრამ მაშინდელი რეალობა ოცნებების ნგრევა იყო – სამოქალაქო ომი, საყოველთაო ნიჰილიზმი, გაჩანაგებული ეკონომიკა...**

**...დავრჩით მხოლოდ ორნი – მე და აკაკი ნადარეიშვილი და მართლაც ჩვენს მხრებზე გადავიტანეთ იმ დროის ყველა უბედურება. სწორედ ის მედგა გვერდით ყველა წამოწყებაში და ასეთ წარმატებებს რომ ვაღწევთ, ამაში მისი უდიდესი წვლილიცაა.**

**მისი პიროვნული ღირსებანი და ცხოვრების გზა სამაგალითოა, რადგან იგი განსახიერებაა იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. შეუძლებელია, არ მოიხიბლო მისი იუმორით აღსავსე, საოცრად თავმდაბალი და, ამავე დროს, უაღრესად დიდბუნებოვანი პიროვნებით.**

**კეთილშობილება უდიდესი სამკაულია ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელ სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, მაგრამ როდესაც შეგიძლია იყო სხვათა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ბრძოლის წინაშე, გულშემატკივარი და თანამონაწილე, საკუთარი დარდისა და ტკივილის მიუხედავად, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. და სწორედ ასეთია ჩემთვის ჩემი კოლეგა, ჩემი მეგობარი და, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, ჩემი თანამებრძოლი, ყველაზე მძიმე დროის გამზიარებელი, ბატონი აკაკი ნადარეიშვილი.**

**არ მეგულება ამქვეყნად არც ერთი პაციენტი, ნაცნობი თუ უცნობი, ვინც მას რაიმე კონტექსტში ცუდად მოიხსენიებს. ვფიქრობ, ნებისმიერი თანამშრომლისათვის მისი სახელი ასოცირდება სიკეთესთან, პატიოსნებასთან, უმაღლეს პროფესიონალიზმთან, ათასობით ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მისი არაჩვეულებრივი ადამიანობის დაფასებისა და სიყვარულის დასტურად“...**

ჭეშმარიტად, ბატონო ფრიდონ!
ჭეშმარიტად, ბატონო კოკა!
მრავალჟამიერ, თქვენს კაცობას!

მეგობრებისა და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით

**გია პლატონიშვილი,**
**სპარტაკ ქოზულია.**

**„ქართული ოცნება“ კანონპროექტს – „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით“ – მხარს დაუჭერს, პრეზიდენტი კი, ვეტოს დასადებად ემზადება. როგორც სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, ახალი აგენტების დევნას საქართველოს პრეზიდენტი მხარს ვერ დაუჭერს, რადგან კანონპროექტი არა ევროპას, არამედ რუსეთის მანკიერ მოდელს გვაახლოებს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადების თანახმად, ამუშავებულია ძალა, რომელიც საქართველოს ევროპული გზის განმტკიცების მაგივრად, ქართულ ინტერესად სხვა გზას მიიჩნევს.**






# ირაკლი გოგავა: ერთობ მიმზიდველია ენჯეოების, დაფინანსების სახალხო ანუ პოლონური მოდელი!

**„ხალხის ძალის“ დეპუტატების მიერ პარლამენტში უკვე წარდგენილი კანონპროექტით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით“ უცხოური გავლენის აგენტების რეესტრი შეიქმნება, სადაც ყველა ის არასამეწარმეო იურიდიული პირი და მედიასაშუალება დარეგისტრირდება, რომელთა შემოსავლების 20%-ზე მეტი უცხოური ძალების მიერ ფინანსდება.**

**„ქართული ოცნებიდან“ გასული დეპუტატების მიერ ინიცირებულ კანონპროექტს რუსულ ანალოგიას უწოდებენ ოპოზიციის და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მათივე განმარტებით, ეს კანონპროექტი ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროპულ კურსს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსული კანონი ითვალისწინებს არა მხოლოდ უცხოელი აგენტებად რეგისტრირებული სუბიექტების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, არამედ მათთვის აწესებს მკაცრ შეზღუდვებსაც. კერძოდ, დგინდება დამატებითი ბარიერები შესაბამისი გაერთიანების რეგისტრაციისთვის, უცხოელებს ეკრძალებათ ამ გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა, ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში 6 თვით შეაჩეროს გაერთიანების საქმიანობა, გაერთიანებას ეკისრება დამატებითი საგადასახადო ტვირთი.**

**რაც შეეხება ქართულ მოდელს, კანონპროექტი ითვალისწინებს დარეგისტრირების ვალდებულებას 10 დღის განმავლობაში. თუ რომელიმე ორგანიზაციის და არა კერძო პირის, უცხოური დაფინანსება 20%-ს გაცდება, ასეთ ორგანიზაციას 10 დღის განმავლობაში ვალდებულება აქვს რეესტრში დარეგისტრირდეს, ხოლო შემდეგ, 1 წლის განმავლობაში უნდა წარადგინოს დეკლარაცია თავისი შემოსავლების და ხარჯვითი ნაწილის შესახებ. ეს კანონი 1938 წელს არის მიღებული და დღემდე აქტიურად გამოიყენება აშშ-ში, სადაც არაერთი ადამიანია დაჭერილი ამ კანონის საფუძველზე.**

პარტია „მოქალაქეების“ წევრის **ლევან იოსელიანის** განცხადებით, „ხალხის ძალის“ კანონის მიზანია, სიტყვა „აგენტი“ დაუკავშირონ არასამთავრობო სექტორს, რაც საქართველოში მოღალატეობასთან არის ასოცირებული და მოხდეს მათი სტიგმატიზაცია, რეპუტაციის შელახვა.

**„ქართული ოცნების“ და „ხალხის ძალის“ გარდა, ამ კანონის მომხრე არავინ არის საქართველოში. ამას აკრიტიკებს არასამთავრობო სექტორიც, საქართველოს პრეზიდენტიც და ოპოზიციაც. ამ კანონის მიღების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. ის არც რუსული და არც ამერიკული კანონის ანალოგი არ არის, ეს არის „ქართული ოცნების“ მიერ შექმნილი კანონი, რომლის ერთადერთი მიზანია, მათი ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას შეუწყოს ხელი“,** – აცხადებს **ლევან იოსელიანი.**

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, თუ კანონპროექტის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, კანონად ქცევა უკვე მყარად გადაწყვეტილი საკითხია, ხელისუფლება მზად უნდა იყოს დასავლელ პარტნიორებთან სერიოზული „გარჩევებისათვისაც“.



**ხალხის ძალა**

**„ეს ჩანს უკვე მათი რეაქციებით. თუ კანონი მაინც მიიღეს, მაშინ ჩემი მოკრძალებული აზრით, მასში აუცილებლად უნდა განიმარტოს „გავლენა“ ან „ზემოქმედება“ რას გულისხმობს, რომ ინტერპრეტაციების სივრცე არ დარჩეს. მაგალითად, უცხოელ სუბიექტს შეუძლია „გავლენა“ ან „ზემოქმედება“ მოახდინოს ფულადი, მატერიალური თუ სხვა მხარდაჭერის სახით, ასევე დარწმუნებით, იძულებით ან ორივე მეთოდის კომბინაციით“,** – აცხადებს **ზაალ ანჯაფარიძე.**

* * *

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა** ამბობს, რომ 1995 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოეთიდან საკმაოდ მსუყედ ფინანსდებიან. მხოლოდ აშშ-დან საშუალოდ წელიწადში 30-40 მილიონი აშშ დოლარი და ევროპიდან 10-15 მილიონი შემოდის. 28 წლის განმავლობაში 1 მილიარდ დოლარზე მეტი შემოვიდა ამ საქმისთვის. საქართველოს პირობაზე ეს დიდძალი თანხაა. მისი თქმით, ამ ძალისხმევის შედეგი საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება უნდა ყოფილიყო, თუმცა რეალურად სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი გახდა.

**„შემომავალი თანხების უდიდესი ნაწილი უცხო ქვეყნების სამთავრობო ფულია, უცხო ქვეყნის მთავრობას კი თავისი ინტერესები აქვს, რომელიც შეიძლება საქართველოს ინტერესს ემთხვეოდეს ან არა. ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ნებისმიერ ფულს მოყვება ვალდებულება და აქვს კონკრეტული მიზანი. ძლიერი ქვეყნები მუდამ ცდილობენ, სხვა ქვეყნებში მოაწყონ ისეთი სისტემა, რომ ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებებზე მოახდინონ გავლენა თავისი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. საბოლოო ჯამში, ეს ადამიანები გაუცნობიერებლად თუ ცნობიერად ემსახურებიან სხვა სახელმწიფოს ინტერესებს.**

**მათი მოტივაცია, პირველ რიგში, კარგი ხელფასია, თანაც ბევრი იდეოლოგიურად დამუშავებულია. საქართველოში საშუალო ხელფასი 1541 ლარია, ხოლო არასმთავრობო სექტორში 3000-4000 ლარი ან მეტი. ყოველწლიურად გრანტების სახით შემოსული 40 მილიონი დოლარიდან მინიმუმ 1500 ადამიანი იღებს გასამრჯელოს. ამ ხალხს კი ქვია არასამთავრობო სექტორი, მაგრამ რეალურად სხვა სახელმწიფოების სამთავრობო ფულით არიან დაქირავებულნი“,** – აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

**„აუცილებელია სახელმწიფომ იზრუნოს არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაზე. ამ მიზნით საუკეთესო გამოსავლად მიმაჩნია არასამთავრობო ორგანიზაციების სახალხო დაფინანსების ე.წ. „პოლონური მოდელი“. პოლონეთში ყველა ადამიანს, ვისაც აქვს შემოსავალი, იხდის საშემოსავლო გადასახადს, ისევე როგორც საქართველოში. მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი არასამთავრობო ორგანიზაცია და საშემოსავლო გადასახადიდან ამ კონკრეტულ არასამთავრობოს გადაურიცხოს 1%.**

**თუ არ სურს არჩევა, მაშინ ეს 1% ბიუჯეტს მაინც მიაქვს. ამ კანონის წყალობით პოლონეთის არასამთავრობო სექტორში ყველა ერთმანეთს ეჯიბრება, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმე გააკეთონ, რათა მეტი ადამიანისგან მიიღონ ის 1%. ამ მოდელმა პოლონეთში დიდი ეფექტი გამოიღო და უცხოეთიდან დაფინანსებული ჯგუფები თითქმის არ ჩანან აქტიური ადგილობრივი ორგანიზაციების ფონზე.**

**საქართველოში საშემოსავლო გადასახადით 5 მილიარდი ლარი იკრიბება ყოველწლიურად, ამ თანხის 1% 50 მილიონ ლარს შეადგენს. ეს სავსებით საკმარისი თანხაა პირველ ეტაპზე, რომ რეალურად საჭირო ორგანიზაციები განვითარდნენ: დემოგრაფიული კავშირი, ტყის გადარჩენის ალიანსი, სასურსათო უსაფრთხოება, ეკოლოგია, კორუფციის კონტროლი და ა.შ.**

**მესამე ღონისძიება, რაც უნდა მოყვეს ამ პროცესს, ეს გახლავთ სოციალური ქსელების შესახებ სუვერენული კანონმდებლობის მიღება. სოციალურ ქსელებში არაადეკვატური ცენზურის გაძლიერება სახეზეა, ცენზორებად თხუთმეტიოდე ზერელე განათლების ახალგაზრდა გოგო-ბიჭები გამოდიან, რომლებიც, ძირითადად, იდეოლოგიური და პოლიტიკური გემოვნების მიხედვით ადებენ ცენზურას და ჩრდილოვან ბლოკს მომხმარებლებს და თან ამაში 4500.000-ს იღებენ წელიწადში. ეს სერიოზული პრობლემაა სიტყვის თავისუფლებისთვის და მისახედია“,** – აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

* * *

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** შეფასებით:

**სრულად გაუგებარია, ახლა რაში დასჭირდათ ისეთი კანონპროექტის დადება, რომელზედაც ტყუილით, თუ სიმართლით ატყდებოდა ყანყალი. ხომ ვხედავთ, რომ ტყუილზე უკან არ იხევენ. ფაქტია, რომ იტყვიან ეს კანონი არის რუსული ვარიანტის ერთ-ერთი გამოხატულებაო. მაშინ, როდესაც ახლა პიკშია ეს თემა – არის თუ არა საქართველო რუსული გავლენის ქვეშ, აი, ამ ფონზე წითელი ნაჭერივით რატომ აუფრიალეს ეს კანონი საქართველოს და ასევე ხელისუფლების ოპონენტებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ? ჩვენ ვიცით, რომ ბრაისმაც კრიტიკულად შეაფასა ამ კანონის მიღება. სიმართლე გითხართ, ჩემთვის გაუგებარია, ეს რატომ გააკეთეს. ვფიქრობ, რომ ამ კანონის ინიცირება არ იყო საჭირო,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# პლუტონის რისხვა

## ტოკიოს „მოცეკვავე“ სახლები

**მეცნიერულად დადგენილია, რომ მიწისძვრები, დედამიწის გარდა, მზის სისტემის სხვა პლანეტებისა და მათი თანამგზავრებისთვისაცაა დამახასიათებელი. მათ შორის ცნობილია ქანების ძლიერი რყევები მთვარეზე, თუმცა ისინი დედამიწისაზე გაცილებით სუსტებია. მიწისძვრები უფრო ხშირად მის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ხდება და მათგან მძლავრების დაახლოებით 80 პროცენტი, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, დედამიწის „ცეცხლოვანი რგოლის“ სიახლოვეს ხდება – ესაა წყნარ ოკეანეში ნალის ფორმის მქონე უზარმაზარი რეგიონი, სადაც უამრავი ტექტონიკური ფილა იყრის თავს. მიწისძვრების ყველაზე აქტიური ადგილები დედამიწაზე იაპონია და ჩილეა, სადაც ყოველწლიურად სხვადასხვა სიმძლავრის ათასობით მიწისძვრა დგინდება, ხოლო ამ პროცესის მონიტორინგის ისტორიაში ყველაზე ძლიერი 1960 წელს ჩილეში მოხდა და მისი სიმძლავრე 9,5 ბალი იყო რიხტერის შკალით.**

ვიდრე მიწისძვრებთან დაკავშირებულ მეტად საჭირბოროტო და, ვიტყოდით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტის განხილვაზე გადავიდოდეთ, ამ პროცესთან დაკავშირებით რამდენიმე საგულისხმო მონაცემს მოვიყვანთ.

მიწისძვრის საშუალო ხანგრძლივობა ერთი წუთის ფარგლებშია, 2004 წელს ინდოეთის ოკეანეში მომხდარი მიწისძვრა კი თითქმის 10 წუთს გაგრძელდა, რაც ყველაზე ხანგრძლივი დროა დაკვირვებათა წარმოების პერიოდში; ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მომხდარი 1201 წლის მიწისძვრის დროს მილიონზე მეტი კაცი დაიღუპა; 1811 წლის 16 დეკემბერს მომხდარი მიწისძვრის შედეგად, მდინარე მისისიპმა (აშშ) მცირე დროის განმავლობაში... საპირისპირო მიმართულებით იდინა; 1985 წელს მეხიკოში 8,0 მაგნიტუდის ინტენსივობის მიწისძვრის შედეგად დანგრეულ სამშობიაროში, საათების განმავლობაში საკვებისა და წყლის გარეშე დარჩენილი თითქმის ყველა ჩვილი გადარჩა; ნეპალში 2015 წლის მიწისძვრის შედეგად ჯომოლუნგმას (ევერესტის) სიმაღლემ 2,5 სანტიმეტრით დაიწია.

6 თებერვალს თურქეთსა და სირიაში მომხდარმა მიწისძვრამ და მის შედეგად აგერ უკვე მერამდენე დღეა დატრიალებულმა ტრაგედიამ, კაცობრიობას კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახა, თუ რაოდენ უძლური და დაუცველია ადამიანი სტიქიის შემოტევის წინაშე. ეს კი, თავის მხრივ, იმის საბაბია, რათა ყველანი დავფიქრდეთ, თუ რა არის საჭირო საიმისოდ, რომ მსგავსი მიწისძვრების დროს, რომლებიც, სამწუხაროდ, მომავალ წლებში კიდევ არაერთხელ მოხდება, მსხვერპლი რაც შეიძლება მინიმალური იყოს – თუკი მისი თავიდან არიდება საერთოდ ვერ მოხერხდება. ამ მხრივ მსოფლიოში ყველაზე მეტად წინწასული ქვეყანა **იაპონიაა,** რომელიც უბრალოდ იძულებულია ამ მიმართულებით მაქსიმალური ძალისხმევა გამოიჩინოს, თუმცა კი უამისოდაც, კარგად ვიცით, რომ მსგავს გამოწვევას ეს ხალხი მუდამ ღირსეულად უმკლავდება.

წინა მასალაში უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ ადამიანისთვის საფრთხის შემცველია არა თავად მიწისძვრა როგორც ასეთი, არამედ დასახლებულ ადგილებში ნაგებობების ნანგრევებში მოყოლა. ამის გათვალისწინებით, იაპონიაში, სადაც სამოსახლოდ და სოფლის მეურნეობის საწარმოებლად ვარგისი მიწების უმწვავესი ნაკლებობაა, ხოლო ისედაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა წლიდან წლამდე კიდევ უფრო მეტად მატულობს, მშენებლები იძულებულნი იყვნენ ზემაღალი ნაგებობები აეშენებინათ, როგორც საცხოვრებლად, ისე საოფისედ თუ საწარმოების განსათავსებლად. ამჟამად ამ მიმართულებით ისინი მსოფლიოში უპირობო ლიდერები არიან – **იქაური ინჟინრები დედამიწაზე ყველაზე სეისმომდგრად ისეთ სახლებს აშენებენ, რომელთაც მიწისძვრების დროს.. ცეკვა შეუძლიათ.** გეოლოგიურად იაპონია ისეთ ადგილზე მდებარეობს, სადაც ერთმანეთთან ურთიერთობენ ევრაზიის, წყნარი ოკეანის და ფილიპინის ტექნოტონიკური ფილები, რომლებიც ერთმანეთზე „ცოცავენ“, რაც გამუდმებული კატაკლიზმების წყაროა, ეს კი წლების მანძილზე მრავალი დამანგრეველი მიწისძვრის მიზეზი ხდება. მაგალითად, 2011 წლის 11 მარტს ქალაქ სენდეიში მომხდარი მიწისძვრის დროს მისი ინტენსივობა 9,0 მაგნიტუდა იყო, რასაც ცუნამი მოჰყვა, დაიღუპა 18 ათასი კაცი, 160 ათასზე მეტი უსახლკაროდ დარჩა, მეცნიერთა დასკვნით. ამ მიწისძვრის შედეგად, დედამიწის ღერძი ოდნავ გადაიხარა, რამაც დღის ხანგრძლივობა მემილიონედი ნაწილით შეამცირა და იაპონიის კუნძულებმა ამერიკის კონტინენტის მიმართულებით ანუ აღმოსავლეთით დაახლოებით 4 მეტრით „გადაიწია“. გარდა ამისა, მიწისძვრას ფუკუშიმას ატომური ელექტროსადგურზე ავარია მოჰყვა, რომლის შედეგების გაუვნებელყოფას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ აღნიშნული კატასტროფის მთავარ მიზეზად სპეციალისტები იმ დროს დედამიწისა და მთვარის ერთმანეთთან მაქსიმალურად დაახლოებას მიიჩნევენ. სწორედ მაშინ იყო, რომ მიღებული ზარალის ოდენობამ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია – მსოფლიო ბანკის მონაცემებით მან 235 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. სწორედ ამ კატაკლიზმის შემდეგ იყო, რომ იაპონიაში ახალი შენობების აგებისას, დამპროექტებლებსა და მშენებლებს სეისმოუსაფრთხოების უზრუნველყოფის მანამდეც მეტად მკაცრი მოთხოვნები კიდევ უფრო მეტად გაუმკაცრეს. იქ ამჟამად სამი დონის სტანდარტი მოქმედებს: **პირველი დონე ითვალისწინებს, რომ შენობების აგებისას, დამპროექტებელიც და მშენებლებიც ვალდებულნი არიან იზრუნონ იმაზე, რომ მათი კარკასი, კოჭები, სვეტები და კედლები მინიმალური სისქისანი იყვნენ, და შენობა რაც შეიძლება მსუბუქი იყოს, რათა ქანების რყევას მაქსიმალურად გაუძლოს. მეორე დონე – ესაა სტანდარტი მაღალსართულიანი შენობების აგებისას ე. წ. დემპერები დააყოლონ, რომლებიც საძირკვლიდან ამოყვანილი, ასევე სართულებს შორის განთავსებულ ერთგვარ ამორტიზატორებს წარმოადგენენ, რომლებიც შთანთქავენ მიწისძვრის ენერგიას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დემპერებმა მიწისძვრის ძალა თავის სხეულში უნდა გაატარონ და ამით შენობა ნგრევისგან მეტად დაიცვან. მესამე დონე კი მიწისძვრის მიმართ მდგრადი შენობის ასაგებად ყველაზე ძვირადღირებული სტანდარტია – ამ შემთხვევაში ნაგებობის სტრუქტურა საყრდენი ქანებისგან ტყვიის, ფოლადის ან რეზინის ფენებითაა იზოლირებული. ეს „ბალიშები“, შენობისგან დამოუკიდებლად, მიწისძვრის დროს ქანებთან ერთად მოძრაობენ, ასე ვთქვათ, „ცეკვავენ“, რა დროსაც მათზე გადასულ ენერგიას შთანთქავენ და ამით შენობას იცავენ.**




თურქეთში 6 თებერვალს მომხდარი 7,8 მაგნიტუდის ინტენსიობის მიწისძვრის მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, აფრიკის, არაბეთისა და ჩრდილო ანატოლიის ტექტონიკური ფილების ურთიერთქმედებაა, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებიან და ცოცდებიან (აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამჟამად მიწისძვრის სიძლიერეს მისი ინტენსივობისდა მიხედვით, ე. წ. „მიწისძვრის მასშტაბით“ ზომავენ. მანამდე მისი განსაზღვრა რიხტერის შკალით ხდებოდა, საგულისხმოა ისიც, რომ 2,5 მაგნიტუდის ან ნაკლები სიმძლავრის ბიძგები, ჩვეულებრივ, არ იგრძნობა, თუმცა კი სეისმოგრაფები მას ადგენენ. 5 მაგნიტუდის მიწისძვრა უკვე ადამიანისთვის საგრძნობია და მას შენობების მცირედი დაზიანებებიც ახლავს ხოლმე).

ლონდონის რისკებისა და კატასტროფების პრევენციის კოლეჯის პროფესორის **ჯოან უოკერის** თქმით, მართალია თურქეთის მიწისძვრა ძლიერი კი იყო, მაგრამ მისი კატასტროფული დამანგრეველი შედეგი კიდევ იმის გამო დადგა, რომ ის გამთენიისას მოხდა, როცა ხალხს უმეტესწილად არასეისმომდგრად შენობებში ეძინა. თანაც ამ რეგიონში მძლავრი მიწისძვრა 200 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ყოფილა, შესაბამისად, მაშველი ძალების მზადყოფნის დონეც ძალიან დაბალი იყო.

საქართველო ამ ზონიდან რამდენიმე ასეული კილომეტრითაა დაშორებული, რაც იმას ნიშნავს, რომ **მსგავსი დამანგრეველი მიწისძვრის საფრთხე შედარებით მცირეა, თუმცა კი არსებითი, ამიტომაც აუცილებლადაა გასათვალისწინებელი.** მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჩვენ უახლოეს მეზობელ სომხეთში, ქალაქ სპიტაკში მომხდარი ტრაგიკული მიწისძვრისას სიძლიერე 7 მაგნიტუდა იყო. ეს მაჩვენებელი საქართველოს ტერიტორიის უმეტესობა ნაწილში მაქსიმალურადაა მიჩნეული.

**დღესდღეობით, ქვეყნის მასშტაბით, ყველა მხარეში, შენობები, განსაკუთრებით კი მაღალსართულიანი, ამ სავარაუდო სეისმოსაფრთხის გათვალისწინებით იგება, რომელიც ამა თუ იმ რეგიონს აქვს მინიჭებული.** მაგალითისთვის, თბილისში ის 8 მაგნიტუდას უდრის, ბათუმში – 7-ს და ა. შ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საინტერესოა, თუ სეისმური უსაფრთხოების თვალსაზრისით რამდენად მედაგია ის საცხოვრებელი კორპუსები, რომლებსაც ბოლო წლებში საქართველოში აშენებენ და როგორ მოწმდება საამშენებლო სტანდარტები? სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არსებული მონაცემებით 1960-80-იან წლებში წლის შემდეგ აგებული შენობების მიმართ სეისმომდგრადობის საკითხები გაურკვეველია, ვინაიდან სამოქალაქო მშენებლობაში სეისმური გაანგარიშებები და ნორმები მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან შემოვიდა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

(დასასრული იქნება)




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22



## სენაკში მედიაციის ცენტრი გაიხსნა

**სენაკში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მედიაციის სივრცე გაიხსნა. ადგილზე მედიაციის პროცესის საჭიროებები სრულად არის გათვალისწინებული. მხარეებისთვის უზრუნველყოფილია მოლაპარაკების წარმოების ყველა პირობა. სათანადოდ აღჭურვილ სივრცეში მედიატორებს დაკისრებული მოვალეობის შესრულება გაუმარტივდებათ.**

ახალი ოფისი იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბუბა ლომუაშვილმა, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ლადო ხელაძემ და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით კუხალეიშვილმა გახსნეს.

მედიაციის სივრცეები თბილისში, ქუთაისში, ხაშურში, ოზურგეთში, ახალქალაქსა და უკვე სენაკშიც მოქმედებს; უახლოეს პერიოდში კი, გორში, დედოფლისწყაროში, დმანისში, საჩხერეში, ხობსა და ბათუმში იქნება ხელმისაწვდომი.

მედიაცია დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის ამოწურვას ემსახურება. ის აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს ეყრდნობა და ორიენტირებულია დანაშაულის შემხებლობაში მყოფი ყველა პირის ჩართულობაზე, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. 2022 წელს მედიაცია 658 პირის მიმართ იქნა გამოყენებული. წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი 60%-ით განისაზღვრა.

## ტრადიციებისა და რიტუალების „აჭარული“ სახელმძღვანელო

**„ხალხური ტრადიციები და რიტუალები“, ამ სახელწოდებით აჭარაში ახალი გზამკვლევი მომზადდა. სახელმძღვანელოში, რომელიც აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მოამზადა, 70 აჭარული ტრადიცია და ხალხური რიტუალია შესული. მათ შორისაა ქორწინებასთან, ბავშვის აღზრდასთან, საზოგადოებრივ-საოჯახო, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.**

ახალი სახელმძღვანელოს მიზანი რეგიონში დღემდე მოღწეული ხალხური რიტუალებისა და ტრადიციების პოპულარიზაციაა. აჭარაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ტრადიციები და რიტუალები საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, ამიტომ საკმაოდ ტრანსფორმირებული სახითაა შემორჩენილი. მათში შემონახულია არა მხოლოდ ხანგრძლივ სამეურნეო-შრომით პროცესში დაგროვილი ემპირიული გამოცდილება, არამედ ხალხის საქმიანობასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული ბევრი სხვადასხვა ტრადიცია, სულიერი კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.




ბელარუსის ავტორიტარ მმართველ ალექსანდრე ლუკაშენკოს „ქართულ-აფხაზური მეგობრობის“ იმედი აქვს. ამის შესახებ მან რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერ ასლან ბჟანიასთან შეხვედრაზე განაცხადა, რომელიც ლუკაშენკოს მინსკში ეწვია. ამასთან, ლუკაშენკომ საუბრისას რამდენჯერმე მოიხსენია აფხაზეთი „ქვეყნად“.

„როგორც იქნა, ჩამოაღწიეთ მინსკამდე. ჩვენ ნამდვილად გვაქვს სასაუბრო. იცით, რომ ყოველთვის დაინტერესებულები ვიყავით აფხაზეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობით. ამის შესახებ 2022 წლის სექტემბერში თქვენს არაჩვეულებრივ ქვეყანაში სტუმრობის დროსაც განვაცხადე“ – მიმართა მან ბჟანიას.

# ალექსანდრე ლუკაშენკო: თბილისიც, სოხუმიც, მინსკიც უნდა შევიკრათ!

## მინსკის როლი აფხაზეთის „დეიზოლაციაში“

ბელარუსის ავტორიტარმა მმართველმა აფხაზ დე ფაქტო ლიდერთან შეხვედრის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების სურვილი დაადასტურა:

**„ჩვენ უნდა განვვითარდეთ. აფხაზი ხალხი პატივს სცემს ბელარუსებს, ბელარუსზე ხომ საუბარიც ზედმეტია. გვაქვს საფუძველი ჩვენი ურთიერთობების საშენებლად. არსებობს საქონელი, რომელშიც ჩვენ ვართ დაინტერესებულები და საქონელი, რომელიც გაინტერესებთ თქვენ. მეტიც, არსებობს ტურისტული მიმართულება – ძალზე მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ჩვენს წინააღმდეგ სხვადასხვა სანქციების შემოღება დაიწყეს. ჩვენს მოქალაქეებს ზღვის ნახვა სურთ“.**

მოგვიანებით კომენტარი გააკეთა **ასლან ბჟანიამაც**, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ მიზნით **„ბელარუსის მოქალაქეებისთვის მოქმედ უვიზო რეჟიმს ახანგრძლივებს“**:

**„აფხაზეთი ტურისტული ქვეყანაა, ძალიან კომფორტული კლიმატი გვაქვს და ყოველთვის სიხარულით მივიღებთ სტუმრებს ბელარუსიდან. ხელი მოვაწერე ბრძანებულებას ბელარუსის მოქალაქეებისთვის მოქმედი უვიზო რეჟიმის გახანგრძლივების თაობაზე. ამასთანავე, შევთანხმდით, რომ აფხაზეთიდან ბელარუსში ახალგაზრდები ჩავლენ მაღალი ტექნოლოგიების პარკში კვალიფიკაციის ასამაღლებლად“.**

ბჟანიამ ისიც აღნიშნა, რომ “შექმნილია სავაჭრო სახლი, რომლის ფარგლებშიც არსებობს აფხაზური პროდუქციის ბელარუსულ ბაზარზე გატანისა და ბელარუსულის აფხაზეთში რეალიზების შესაძლებლობა.

**„აფხაზეთი დაიწყებს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო, არამედ სამრეწველო პროდუქციის შეძენასაც, კერძოდ, ბელარუსული წარმოების ფლაგმანის – „ჰორიზონტის„ ქარხნისას“,** – განაცხადა აფხაზმა დე ფაქტო ლიდერმა.

ბჟანიამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ლუკაშენკოს იმ **„უმნიშვნელოვანესი როლის“ გამო, რომელსაც რუსეთთან ერთად ბელარუსიც ასრულებს „აფხაზეთის დეიზოლაციის“** საქმეში.

**„დიდწილად დასავლეთის ქვეყნების ძალისხმევით დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით იზოლაციაში, რუსეთის ძალისხმევით კი ჩვენთან დეიზოლაციის პროცესები მიმდინარეობს და ბელარუსთან კონტაქტები ამ კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანია. გვსურს, კეთილმეზობლური ურთიერთობები ვიქონიოთ თქვენთან სამრეწველო ურთიერთქმედებაზე აქცენტით“,** – დასძინა მან.

## „არ მესმის, რატომ სწყინს თბილისს?!“

და აი, ამ ყველაფრის ფონზე ბელარუსის ავტორიტარი მმართველი ბჟანიასთან საუბრისას 2022 წელს ბიჭვინთაში თავის ვიზიტზე თბილისის მწვავე რეაქციას ასე გამოეხმაურა:

**„საქართველოს ხელმძღანელობა რატომღაც მწვავედ რეაგირებს ჩვენს შეხვედრებზე. დავიჯერო, ადამიანებს, ხალხებს შორის არ შეიძლება იყოს ნორმალური, თბილი, მეგობრული ურთიერთობები?! შესაძლოა, სწორედ ეს ურთიერთობები, როგორც მაშინ ვთქვი, შეუწყობს ხელს აფხაზებსა და ქართველებს შორის მშვიდობასა და მეგობრობას. ჩვენ ხომ არასოდეს დაგვიგეგმია რაიმე აქციები თბილისის წინააღმდეგ, მსგავსი რამ არასოდეს ყოფილა... ჩვენ ხომ არავითარი შეფასებები არ გაგვიკეთებია, არ ჩავრეულვართ არც ამ, არც სხვა სიტუაციებში. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და რამდენადაც შესაძლებელია, გვექნება კიდეც თბილისთან. რატომ აქვთ ესოდენ მწვავე რეაქცია? ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში თქვენც დამეხმარებით“.**

## ლუკაშენკო საქართველოს პუტინის იმპერიაში იწვევს?

გარდა ამისა, ბელარუსმა ლიდერმა „თბილისის, სოხუმის, მინსკის შეკვრის“ აუცილებლობის შესახებ ისაუბრა:

**„ბიჭვინთაში ვიზიტის დროს ვნახე თქვენი სანაპირო: ჩვენ იქ ყოველთვის ჩავდიოდით, ჩვენები იქ ახლაც ჩადიან, მაგრამ რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ აფხაზეთი აღმოჩნდა მოწყვეტილი, გამოუყენებელი, არადა, მოთხოვნა ძალიან მაღალია. რატომ არ უნდა ჩავდიოდეთ ერთმანეთთან სტუმრად? - ვსვამ ამ კითხვას და არ მესმის, რატომ უნდა დავძაბოთ ამ საფუძველზე ურთიერთობები? ჩვენ პირიქით, უნდა ვაკოწიწებდეთ ჩვენს ურთიერთობებს. ჩვენ არ ვართ გიგანტური სახელმწიფოები, რომ ვინაწილებდეთ გარკვეულ ქვეყნებსა და ხალხებს, ჩვენ – თბილისიც, სოხუმიც, მინსკიც ამ რთულ დროს რაღაცნაირად უნდა შევიკრათ, შევეწეგოთ, ვიღვწოდეთ ერთობისკენ. ამ ჭრილში განვიხილავ თქვენს ვიზიტს და კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას“,** – მიმართა ბჟანიას ლუკაშენკომ.

თავის მხრივ, აფხაზმა დე ფაქტო ლიდერმა იმედი გამოთქვა, რომ ბელარუსის მმართველის „ეს ბრძნული სიტყვები თბილისში ადამიანების გულებამდე მიაღწევს“.

**ცნობისთვის: მოსკოვი სსრკ-ის აღდგენის დეკლარირებული გეგმით მოქმედებს და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალ რუსულ იმპერიაში გაერთიანებას გეგმავს. ამ ერთობაში მოიაზრება, მათ შორის, საქართველოც.**

**რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს დიმიტრი მედვედევს პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ „საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მხოლოდ დიდი რუსეთის შემადენლობაში შეიძლება, გაერთიანდეს“. „რუსეთად“ კი მოსკოვი აქ მოიაზრებს ან პირდაპირ ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას, ან „საკავშირო სახელმწიფოში“, რომლის ჩამოყალიბებაზე პუტინი ლუკაშენკოსთან ერთად უკვე წლებია, მუშაობს და ამ გეგმის რეალიზებას უკრაინაში ომის დასრულებისთანავე აპირებენ.**

**აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერს უკვე ნათქვამი აქვს, რომ „რესპუბლიკა მზადაა, რუსეთ-ბელარუსისა და სხვა ქვეყნების საკავშირო სახელმწიფოს შეუერთდეს“.**

## შეგახსენებთ:

- 2022 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრე ლუკაშენკო საზღვაო გზით ბიჭვინთაში ჩავიდა და ასლან ბჟანიას შეხვდა „სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების საკითხების განსახილველად“. ამ ვიზიტამდე მან სოჭში შეხვედრა გამართა რუსეთის პრეზიდენტთან.
- აფხაზეთში ლუკაშენკოს ვიზიტი თბილისთან შეთანხმებული არ ყოფილა. ეს – მაშინ, როცა ბელარუსი აფხაზეთის ამღიარებელი მცირერიცხოვანი ქვეყნების სიაში ამ დრომდე არ შედის. ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო უწყებაში ბელარუსის ელჩი დაიბარეს. ლუკაშენკოს ბიჭვინთაში ვიზიტი დაგმეს საქართველოს პრეზიდენტმაც, პრემიერ-მინისტრმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც.
- გასული წლის დეკემბერში მინსკს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა სტუმრობდა.
- 2021 წლის აგვისტოში ლუკაშენკომ განმარტა, რატომ არ აღიარებდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობას. მისი მტკიცებით, „დასავლეთი მინსკს ასეთ შემთხვევაში დამატებითი სანქციებით ემუქრებოდა, მოსკოვმა კი უარი განუცხადა, შესაბამისი ეკონომიკური დანაკარგების კომპენსირების პირობა მიეცა“.



## ჯო ბაიდენი: ჩინეთი რუსეთს თუ იარაღს მიაწვდის, ჩვენ ვუპასუხებთ

**ჩინეთის „სამშვიდობო გეგმა“ მხოლოდ რუსეთისთვის არის სასარგებლო. ჩინეთი რუსეთს თუ იარაღს მიაწვდის, ჩვენ ვუპასუხებთ,** – ამის შესახებ პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა. ბაიდენის თქმით, ჩინეთის მხრიდან არ ელოდება დიდ ინიციატივებს, მიაწოდოს რუსეთს ლეტალური იარაღი, თუმცა, მისი თქმით, აშშ ამას უპასუხებს ისე, როგორც ეს სხვა ქვეყნების შემთხვევაში იყო.

**„სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ სანქციები დავაკისრეთ ყველას, ვინც ეს გააკეთა“,** – აღნიშნა პრეზიდენტმა. ბაიდენი მიიჩნევს, რომ ჩინეთის „სამშვიდობო გეგმა“ მხოლოდ რუსეთისთვის არის სახარბიელო. ბაიდენი ასევე ირაციონალურად მიიჩნევს მოსაზრებას, რომ ჩინეთი შეიძლება, გახდეს შუამავალი უკრაინასა და რუსეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებში.

## შოლცი და მაკრონი ზელენსკის რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებდნენ



**გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის რუსეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდებდნენ.**

გამოცემის ცნობით, შოლცის, მაკრონისა და ზელენსკის საუბარი თებერვლის დასაწყისში გაიმართა, როდესაც ლიდერები ერთმანეთს პარიზში შეხვდნენ.

კერძოდ, ელისეს სასახლეში გამართულ ვახშამზე ერთი თვის წინ მაკრონმა განუცხადა უკრაინის პრეზიდენტს, რომ საბოლოო ჯამში მას მოუწევს სამხედრო ლიდერის სტატუსზე უარის თქმა და სახელმწიფო მოღვაწის პოზიციიდან მოქმედება, რთული გადაწყვეტილებების მიღება და კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტაზე მუშაობის დაწყება. მაკრონმა ასევე განაცხადა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისეთმა დაუძინებელმა მტრებმაც კი, როგორებიც გერმანია და საფრანგეთი იყვნენ, სამშვიდობო შეთანხმება გააფორმეს.

# ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში პუტინი და რუსეთი დაიღუპებიან!

(მეორე გვერდიდან)

**– კაპიტულაციის შემთხვევაში, რუსი ხალხი დატოვებს პუტინს ხელისუფლებაში?**

– ძალიან ძნელია, ვიფიქროთ, რომ პუტინი გადარჩება და ხელისუფლებაში მაინც დარჩება ამის შემდეგ, მაგრამ ესეც შეიძლება მოხდეს. მაგალითად, სადამ ჰუსეინი, როდესაც ქუვეითში შეიჭრა, შემდეგ ამერიკამ განდევნა ქუვეითიდან და, პრაქტიკულად, ამერიკამ სამხედრო მონიტორინგი და კონტროლი დააწესა ერაყის ნახევარ ტერიტორიაზე, სადამ ჰუსეინი ამის შემდეგ კიდევ 13 წელი იყო ხელისუფლებაში.

**– სამხედრო დიქტატურა ახსენეთ, ეს ნიშნავს, რომ სამხედრო დიქტატურა ბოლოს მოუღებს პუტინს?**



– აუცილებლად. ეს იქნება იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება სამხედრო გადატრიალება, მაგრამ სამხედრო გადატრიალებამ შეიძლება რუსეთი დაშლას გადაარჩინოს.

ეს იქნება დიქტატურა, რომელიც, ადრე თუ გვიან, დაიშლება, მაგრამ ამ დიქტატურას არანაირი კეთილმეზობლური ურთიერთობა არ ექნება არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან.

აქ რისკები შეიძლება ჩვენთვისაც იზრდებოდეს, უკრაინას ვერაფერი რომ ვერ დააკლოს, რუსეთმა შეიძლება ჩვენ შემოგვიტიოს, შეიერთოს აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, მერე შეიძლება სხვა ტერიტორიებზეც შემოიყვანოს ჯარი.

**მანანა ნოზაძე**

# მაზაკვალი გახარია როყიო და „კერკეტი კვერცხის“ ყოფილა!

(მეოთხე გვერდიდან)

გახარიას განცხადებაზე მმართველ გუნდში შეფასება უკვე გაკეთდა. „ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** თქმით, ვიღაცებს ყოფილი პრემიერი კერკეტი კაკალი ეგონა, მაგრამ რეალურად „კერკეტი კვერცხი“ აღმოჩნდა.

**„ვიღაცებს გახარია ეგონათ კერკეტი კაკალი, ასეთი ტერმინი გამოიყენებოდა, აღმოჩნდა კერკეტი კვერცხი. ეს არის ერთადერთი ეპითეტი, რომელიც მას მიესადაგება, არის 1%-იანი პარტიის ლიდერი და ეს არის საზოგადოების განაჩენი გახარიას მიმართ, რომელიც არის სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ადამიანი“,** – ამბობს კობახიძე.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ გიორგი გახარიას შეცვლილი რიტორიკა რამდენიმე მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. პირველ რიგში, ანალიტიკოსის აზრით, ის ცდილობს, რომ პოლიტიკურად დაცემული რეიტინგი მაღლა ასწიოს და ამ ფორმით ოპოზიციური ხმების აკრეფა შეძლოს. ასევე ძაბირაძე არ გამორიცხავს, რომ მას ჰქონდეს ამბიცია ოპოზიციურ ფლანგზე ლიდერი გახდეს, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გამოუვიდეს, რადგან ოპოზიციაში სრულყოფილად გადაბარგება თუ სურს, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ უფრო აქტიური უნდა იყოს და ეს ტაქტიკა გამოიყენა, თუმცა რა გამოუვა, ეს უკვე სხვა საკითხია.



ძაბირაძე მიიჩნევს, რომ მეორე მხრივ, გახარია დასავლეთისთვის რაღაცების დამტკიცებას ცდილობს და არ გამორიცხავს, რომ ამ განცხადებებით ცდილობს ზოგიერთ ევროპულ პოლიტიკურ წრეში პროდასავლურ ლიდერად წარმოჩინდეს. თუმცა, თუკი დასავლეთში დაინახავენ, რომ მას ხალხის მხარდაჭერა არ აქვს, მასზე ფსონს არ დადებენ.

**„ჩვენს პოლიტიკოსებს ერთი მნიშვნელოვანი რამ ეშლებათ, დასავლეთს მაშინ უნდიხარ, თუკი ქართველების დიდი მხარდაჭერით სარგებლობ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილი თავიდან დასავლეთს არ უნდოდა. მას ყველა პრორუს ფიგურად აღიქვამდა, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ მან ოპოზიციის კონსოლიდირება შეძლო და ხალხის დიდი მხარდაჭერა მიიღო, მის მხარეს გადავიდნენ. ამიტომ, თუკი გახარიას ხალხის მხარდაჭერა არ ექნება, მან რაც არ უნდა ილაპარაკოს, ვერავის მოხიბვლას ვერ შეძლებს.**

**გახარიას თავისი ცოდვებიც ბევრი აქვს. ის იყო ხელისუფლების პირველი მეთაური, რომელიც ამბობს, რომ ივანიშვილი მის საქმეში არ ერეოდა. ახლა გამოდის და იძახის, რომ ხელისუფლებას ის მართავს. ხალხს ხომ კითხვები უჩნდება, ეს კაცი სიმართლეს როდის ამბობდა, ახლა თუ მაშინ, როცა მთელი საქართველოს ჭორვილიზაცია უნდოდა? ივანიშვილზე სხვა ოპოზიციური ლიდერებიც ამბობენ, რომ პრორუსი ლიდერია, საქართველოს რუსეთისკენ მიაქანებს, მაგრამ ხალხი იჯერებს? არა, რადგან ოპოზიცია თავისსავე თავის წინააღმდეგ მიდის, ხალხს უკეთესს ვერაფერს სთავაზობენ და ამიტომ მათი საუბარი კედელზე თავის რტყმის ტოლფასია. იგივე იქნება გახარიაც, მან საკუთარი მხარდაჭერა უკვე გალია და რისი იმედი აქვს არ ვიცი“,** – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ფიქრობს, რომ გახარიას შეცვლილი პოზიციონირება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მან პოლიტიკაში აქტიური გამოჩენა გადაწყვიტა. ამიტომ, ჩათვალა, რომ ივანიშვილზე იერიშით სჯობია მისი, როგორც ოპოზიციონერი ლიდერის, ახალ ამპლუაში გამოჩენა. ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს არცთუ კარგი იდეაა, რადგან ამით ვერანაირ პოლიტიკურ დივიდენდს ვერ დააგროვებს.

**„გახარიას დანარჩენი ოპოზიცია მუდმივად უკიჟინებდა, რომ შენ ივანიშვილის წინააღმდეგ განცხადებებს არ აკეთებ და რანაირი ოპოზიციონერი ხარო. ამიტომ გახარიამ გადაწყვიტა, ოპოზიციურ ფლანგზე ახალი ნიშა, ასეთი ხისტი და როყიო განცხადებებით დაიმკვიდროს. დანარჩენ ოპოზიციას აჩვენოს, რომ მათნაირია და მათ რიგებში უნდა მიიღონ. გახარიას პრეტენზია ჰქონდა, რომ მესამე ალტერნატიულ ძალად ჩამოყალიბებულიყო, ისევე, როგორც ეს პრეტენზია ბადრი ჯაფარიძის და მამუკა ხაზარაძის დუეტს ჰქონდათ. თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ მათ წარუმატებლობა განიცადეს. იგივე ბედი ეწია გახარიასაც. პარტიის შექმნიდან სულ რაღაც ერთი წლის თავზე, მისი რეიტინგი 7%-დან 2%-ს ძლივს აღწევს. გახარიას პარტია პოლიტიკოსებისგანაც კი არ შედგება და უფრო ტექნიკური მუშაკები არიან, ადმინისტრაციის თანამშრომლებისგან დაკომპლექტებულნი, ხალხშიც რაიმე სერიოზულ გავლენას ვერ ახდენენ, რადგან პოლიტიკოსებად ვერ აღიქვამენ. თავად გახარიაც არ იყო პოლიტიკოსი, ის ხალხმა თანამდებობებზე ყოფნის დროს გაიცნო, სხვა პოლიტიკური ბეგრაუნდი არ ჰქონია. ის 7%, რაც ჰქონდა, იმიტომ აიღო, რომ ხალხის უმეტესობა მას „ოცნება 2“-ად აღიქვამდა, მით უმეტეს ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლამდე თქვა, რომ მმართველი გუნდის წიაღიდანვე შესაძლებელი იყო ჯანსაღი პოლიტიკური ძალა შექმნილიყო. ამიტომ, ბევრ ადამიანს ის, უბრალოდ, მმართველი გუნდის სხვა განშტოებად წარმოედგინა. თუმცა დროთა განმავლობაში ყველამ დაინახა, რომ ეს რეალობა არ იყო. თავად გახარია კი არანაირ სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურას არ წარმოადგენდა“...**

ლიკა ბერიკაშვილი




# წვრილფეხა „ელექტროჩინოსნის“ „უზნეობანი“

**უგულისყურო, საკუთარი მწირი ძალაუფლებით დამტკბობ წვრილ-წვრილ ჩინოსნებს ქვეყანაზე რა გამოლევს, მაგრამ ეს სულაც არ არის იმის „საპატიო მიზეზი“, რომ ასეთი „მოღვაწეები“ სამზეოზე არ გამოვიყვანოთ და დაკისრებული საქმის კეთილსინდისიერად შესრულება არ მოვთხოვოთ.**

რაშია საქმე, რა მოხდა ასეთიო, იკითხავს გაკვირვებული მკითხველი, რაზეც დიდი გულისტკივილით, თუმცა კი, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანი გულისწყრომით ვუპასუხებთ: რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში ჭარმაგი კაცია, ვანის რაიონის სოფელ მუქედის მკვიდრი მურად ხუციშვილი გვესტუმრა. დაგვეთანხმებით, რომ 80 წელს გადაცილებული, სოფელში მარტო დარჩენილი კაცი დროის ნახევარზე მეტ ხანს თბილისში საცხოვრებლად და სამუშაოდ დამკვიდრებულ შვილებთან რომ ატარებს, ამაში დიდად გასაკვირი არაფერია. ჰოდა, ბატონი მურადიც ასე იქცევა, ამდენად, ბუნებრივია, შარშან დეკემბერში 20 დღე დედაქალაქში შვილებთან იყო. შესაბამისად, სოფლის სახლში სულ ათიოდე დღე გაატარა, ამიტომაც ელექტროენერგიის დანახარჯმაც მცირე თანხა – სულ 4 ლარი და 75 თეთრი შეადგინა, რომელიც მან პირნათლად დაფარა. მაგრამ შემდეგ – ჰოი, საოცრებავ! – სულ რაღაც ხუთ დღეში, ვითომდა გახარჯულ დენთან დაკავშირებით კიდევ ერთი ქვითარი მოუვიდა, სადაც მისი დავალიანება უკვე 50 ლარად იყო „შეფასებული“. ამ „გაუგებრობის“ გასარკვევად ბატონმა მ. ხუციშვილმა ადგილობრივი ელექტროქსელის – „ენერგო პრო-ჯორჯიას“ კანტორას მიაკითხა, მაგრამ იქ ნამდვილად კურიოზული პასუხი გასცეს:

– ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ეს დავალიანება... თბილისდან დაგაწერესო და ტელეფონის ნომერიც (032)24 47 17 07 მიართვეს ამ ამბის გასარკვევად, რომელიც... კომპანია „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ცხელ ხაზზე ყოფილა განპირობებული(???) – იმათ დაგარიცხეს ეს თანხაო. თუმცა კი იქიდან, სავსებით ლოგიკურად, მომხმარებელი ისევ ვანის რაიონის სათაო კანტორაში გადაამისამართეს, რომელიც მისი სამოსახლოდან არც მეტი, არც ნაკლები, 15 კილომეტრითაა დაშორებული! იქ კი საქმის გასარკვევად მისული კაცი უბნის მენეჯერ **შალვა ლორთქიფანიძესთან** გაუშვეს, რომელსაც აღნიშნულ დავალიანებასთან დაკავშირებით ბატონმა მ. ხუციშვილმა განმარტება სთხოვა, პასუხი კი ასეთი მიიღო: ამ ამბის არაფერი ვიცი, მე არაფერ შუაში არა ვარ, ეგ დავალიანება აბონენტზე თბილისიდანაა მოსულიო. არადა, ისეთი გაუგებრობის წარმოშობის შემთხვევაში, როგორიცაა გახარჯული ელექტროენერგიის დარიცხული ოდენობის რეალურად მოხმარებულთან სრული შეუსაბამობა სწორედ კომპანიის **მენეჯერის უშუალო მოვალეობაა** – სხვანაირად, აბა, რის ადმინისტრატორია? თანაც ასეთი შეუსაბამობაა, სიმართლის დადგენა რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც უადვილესი დასანახია! მაგრამ, სავსებით ბუნებრივ კონტრარგუმენტზე – თბილისში ამ დავალიანებას ზეპირად ხომ არ იანგარიშებდნენ, თუკი რაიონიდან რაიმე ცნობას ისევ თქვენ არ მიაწვდიდითო, „ელექტროჩინოსან“ შ. ლორთქიფანიძეს მომხმარებლისთვის ისეთი უკადრისი სიტყვებით მიუმართავს, ჩვენთან რედაქციაში ერთი თვის მერე მოსული კაცი ისევ აღელვებული იყო და თავს კვლავაც შეურაცხყოფილად გრძნობდა. ბოლოს კი კანტორის მოხელეს ისიც დაუყოლებია: „მე კიდევ 16 ათასი აბონენტი მყავს ასეთი, ამიტომაც შენთვის აღარ მცალია, საჩივლელად სადაც გინდა იქ წადიო, ფეხებზე მკიდია, რომლებსაც ვერც ვერავინ მომჭამსო“.

რა გითხრათ, პატივცემულო მკითხველო, რამდენადაც გავიგეთ, „ელექტროჩინოსანი“ შალვა ლორთქიფანიძე ახალგაზრდა კაცი ყოფილა, თუმცა კი არც ასაკით უფროს ხალხთან მოქცევა უსწავლია და საქმესაც იმდენად ვერ უძღვება, რომ გაუგებრობაში აღმოჩენილი აბონენტი თავისი სატკივარით, აგერ 105 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოვიდა. აქ კიდევ ერთხელ გვინდა გავიმეოროთ, რომ შ. ლორთქიფანიძე ელექტროკომპანიის და, მით უმეტეს, ქვეყნის მასშტაბით, კი არის ერთი რიგითი ჭანჭიკი, ნამდვილად წვრილფეხა ჩინოსანი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მის „სამწყსოს“ მ. ხუციშვილის გარდა კიდევ 16 აბონენტი ათასი შეადგენს. ხომ წარმოგიდგენიათ, თუ რა ფართო საასპარეზოა მისთვის საკუთარი ძლევამოსილების დემონსტრირება და ხალხის აბუჩად აგდება?

**ჰოდა, იქნებ ჩვენმა შუამდგომლობამ მაინც გაჭრას და „ენერგო პრო-ჯორჯიას“ ვანის ოფისში ან ვანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაში მაინც აღმოჩნდეს ვინმე ავტორიტეტული, ვინც თავს გასულ ჩინოსანს ხალხთან მოქცევას ასწავლის და... საკადრის ადგილს მიუჩენს?**

ოთარ მერიშვილი

---

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **კახა შავგულიძის (პ/ნ 18001000736)** (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარაში მდებარე, ს/კ 32.10.46.167 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიანი მიწის ნაკვეთი, ფართობით 5473 კვ. მეტრი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და მრავალწლიანი ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 13 თებერვლის 1-1/50 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარაში მდებარე, ს/კ 32.10.46.167 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მთლიან მიწის ნაკვეთზე, ფართობით 5473 კვ. მეტრი, მასზე არსებულ შენობა-ნაგებობასა და მრავალწლიან ნარგავებზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

ბაკურიანი 2023

# პირველი წარმატება




**ფრისტაილის, სნოუბორდისა და ფრი სკის მსოფლიოს ჩემპიონატზე დავით თედიაშვილმა კვალიფიკაცია დაძლია და ფინალურ ბლოკში იასპარეზებს.**

ქართველმა მოთხილამურემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 32-ე შედეგი აჩვენა და აღსანიშნავია, რომ ფინალში სწორედ 32 მონაწილე გადადიოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფინალურ სესიაში ის დაშვებას მერვედფინალური სტადიიდან დაიწყებს.

იმავე დღესვე ძალები მოსინჯეს ლაშა კურტანიძემ და ბექა ბერძენიშვილმა, რომლებიც საკვალიფიკაციო ეტაპზე, შესაბამისად, 37-ე და 38-ე ადგილებს დასჯერდნენ.

ლეგიონერი

# გელა აფრასიძე კლუბს შეიცვლის

**საქართველოს ნაკრების მორაგბე გელა აფრასიძე „მონპელიეს“ დატოვებს და კარიერას ბასკურ „ბაიონში“ გააგრძელებს, რომელიც ასევე ტოპ 14-ის ბინადარია.**

25 წლის მორაგბე „მონპელიეში“ მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება, „ბაიონს“ კი შესაბამისად, ზაფხულში შეუერთდება.

გელა აფრასიძე „მონპელიეს“ წევრი 2017 წლიდანაა, თუმცა, ძირითადი შემადგენლობის წევრად ვერ იქცა და მიმდინარე სეზონში მხოლოდ 9 თამაში ჩაატარა. „მონპელიეში“ აფრასიძე გასულ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.

„ბაიონი“ ტოპ 14-ში ამჟამად პლეი-ოფის ზონაშია და ამ გუნდის ღირსებას კიდევ ერთი ქართველი მორაგბე კოტე მიქაუტაძე იცავს.




აზიური ფორუმის წინ

# მსოფლიოს მისადგომებთან

**გვინდა ვირწმუნოთ, რომ როცა ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერს გადავფურცლავთ, ისლანდიასთან გადამწყვეტი მატჩი უკვე სასურველი შედეგით გვექნება დასრულებული და, ისტორიაში პირველად, მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალური რაუნდის საგზური ჩვენი საკუთრება იქნება, რასაც სრულიად საქართველოს სულითა და გულით ვულოცავთ, მანამდე კი... ისევე როგორც სტარტზე შინ უკრაინასთან – 88:83, ასევე ისლანდიაში – 88:85, ამჯერადაც ჩვენთვის ბედნიერი 88 ქულა ჩავაგდეთ.**

ნიდერლანდები – საქართველო 80:88 (19:17, 23:18, 20:31, 18:22)

**საქართველო**: შენგელია – 25, შერმადინი – 22, მაკფადენი – 20, ბერიშვილი – 7, სანაძე – 5, ბურჯანაძე – 4, ცინცაძე – 3, ანდრონიკაშვილი – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ბექაურმა, ჯინჭარაძემ და ბოქოლიშვილმა, ხოლო ლონდარიძე ბრძოლაში არ ჩაბმულა.

**მთავარი მწვრთნელი** – ილიას ზუროსი.

ამ გუნდების შეხვედრათა ისტორია – 4-4 მოგება-წაგება, იოლ გასეირნებას არ გვპირდებოდა, მაგრამ ზედმეტად ოპტიმისტებს ვითარების საღად შეფასებაში ხელს მასპინძელთა მიერ აქამდე გამართულ შესარჩევი ტურნირის რვავე დუელში განცდილი მარცხი უშლიდა.

გასათვალისწინებელი იყო ნარინჯისფერთა სერბი თავკაცისთვის მიცემული უკანასკნელი შანსის ფაქტორიც, რომელიც თუ ჩვენთან ან ბოლო ტურში უკრაინასთან ნავსს არ გატეხდა, უმუშევარი გახდებოდა.




მართალია, მან გარისკა და მთელი რიგი ლიდერები ამჯერად არ გამოიძახა (მაგალითად – კლოოფი და დე იონგი), მაგრამ სამაგიეროდ მათმა ახალგაზრდა შემცვლელებმა გამოცხადებული ნდობით დამატებითი სტიმული მიიღეს, მოჭარბებულმა მოტივაციამ კი კინაღამ სენსაცია გამოაცხობინათ.

ჯვაროსანთათვის მოვლენათა დრამატული განვითარება უმთავრესად პერიმეტრიდან მათი კალათის უმოწყალოდ დაბომბვას უკავშირდება. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის, როცა ჩვენ 13-დან მხოლოდ 1 სამქულიანი ჩავაგდეთ, მეტოქემ კი ეს მრისხანე იარაღი შორეული ტყორცნების 60-პროცენტიანი სიზუსტით გამოიყენა. სხვათა შორის, დასახელებული ღირსების თაობაზე ბენილუქსელთა ბანაკიდან ინფორმაციამ არაერთხელ გამოჟონა, მაგრამ შესვენებამდე სტუმართა სამწვრთნელო შტაბმა საყურადღებო გარემოებას რატომღაც წაუყრუა.

ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და, საბედნიეროდ, მეორე ნახევარში, როგორც იქნა, გამოვიღვიძეთ, პარტნიორებს კი, ტრადიციისამებრ, მაგალითი დამრტყმელმა ტრიომ მისცა, რასაც სტატისტიკური ოქმიც ადასტურებს. არანაკლებ დასაფასებელია მძიმე ლოკალურ წარმატებაში რეზერვისტთა მიერ შეტანილი წონიანი წვლილი, რასაც თურქულ-მაკედონიურ-სერბული ბრიგადის ობიექტური მსაჯობაც დაემატა და... მოსახდენიც მოხდა.

მოგვიანებით იმავე საღამოს იტალიამ შინ შენგელიას თანაკლუბელის მანიონის ძალისხმევით (28 ქულა) თამაშგარე მდგომარეობაში გაისტუმრა უკრაინა – 85:75, ხოლო ისლანდიამ თბილისში გამომგზავრებამდე ასევე საკუთარ დარბაზში ძალები დაზოგა ესპანეთთან – 61:80. ასე რომ, აზიურ ფორუმზე მოსახვედრად 1 ან 2 ქულით წაგებაც გვაწყობდა.

თბილისამდე სამაგალითო პატრიოტმა **თორნიკე შენგელიამ** იტალიაში შეიარა და ბოლონიის ვირტუსს ევროლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩის მოგებაში დაეხმარა ყოფილ ესპანურ კლუბ ბასკონიასთან, თანაც კვლავ თილისმად ქცეული 8-იანებით – 88:83. მისი პირადი მონაგარი ამჯერად 12 ქულაში გამოიხატა. მოკლედ, ყველამ ინატროს მსგავსი ლიდერი.

ევროტურნირები

# გუნდები დაწყვილდნენ

**უეფას შტაბ-ბინაში ევროპა ლიგის მიმდინარე სეზონის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა, რის შედეგადაც 16 გუნდი დაწყვილდა.**

გუნდები წილისყრამდე განთესილ (8 გუნდი) და გაუნთესავ (8 გუნდი) კალათებში განაწილდნენ. პირველი მატჩი გაუნთესავი გუნდების მოედანზე გაიმართება (გუნდები, რომლებიც მერვედფინალში პლეი-ოფიდან გავიდნენ), ხოლო საპასუხო განთესილი გუნდების მოედანზე (გუნდები, რომლებმაც ჯგუფებში პირველი ადგილი დაიკავეს და მერვედფინალში ავტომატურად გავიდნენ).

### შედეგად, წილისყრის შედეგები ასეთია:

**„უნიონ ბერლინი“ (გერმანია) – „უნიონ სან-ჟილუა“ (ბელგია),**

**„სევილია“ (ესპანეთი) – „ფენერბაჰჩე“ (თურქეთი),**

**„იუვენტუსი“ (იტალია) – „ფრაიბურგი“ (გერმანია),**

**„ლევერკუზენი“ (გერმანია) – „ფერენცვაროში“ (უნგრეთი),**

**„სპორტინგი“ (პორტუგალია) – „არსენალი“ (ინგლისი),**

**„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) – „ბეტისი“ (ესპანეთი),**

**„რომა“ (იტალია) – „სოსიედადი“ (ესპანეთი),**

**„შახტარი“ (უკრაინა) – „ფეიენოორდი“ (ნიდერლანდები).**

აქვე გეტყვით, რომ ევროპა ლიგის მერვედფინალური ეტაპის მატჩები **9 და 16 მარტს გაიმართება.**

უეფას შტაბ-ბინაშივე კონფერენს ლიგის მიმდინარე სეზონის მერვედფინალური ეტაპის წილისყრაც გაიმართა, რის შედეგადაც 16 გუნდი დაწყვილდა ევროპა ლიგის მსგავსი სისტემით.

კონფერენს ლიგის მერვედფინალში ნიკა კვეკვესკირის და გიორგი წიტაიშვილის „ლეხი“ და გიორგი ჩაკვეტაძის, გურამ კაშიას და ჯაბა კანკავას „სლოვანი“ ითამაშებენ.




### წილისყრის შედეგები კი ასეთია:

**აეკ (კვიპროსი) – „ვესტ ჰემი“ (ინგლისი),**

**„ფიორენტინა“ (იტალია) – „სივასფორი“ (თურქეთი),**

**„ლაციო“ (იტალია) – „ალკმაარი“ (ნიდერლანდები),**

**„ლეხი“ (პოლონეთი) – „იურგორდენი“ (შვედეთი),**

**„ბაზელი“ (შვეიცარია) – „სლოვანი“ (სლოვაკეთი),**

**„შერიფი“ (მოლდოვა) – „ნიცა“ (საფრანგეთი),**

**„ანდერლეხტი“ (ბელგია) – „ვილიარეალი“ (ესპანეთი),**

**„გენტი“ (ბელგია) – „ბაშაქშეჰირი“ (თურქეთი).**

დავძენთ, რომ ევროპა ლიგის მერვედფინალური ეტაპის მატჩებიც **9 და 16 მარტს გაიმართება.**

ფორმულა 1

# ვერ მოემზადნენ



**„მაკლარენის“ მთავარი აღმასრულებელი ზეკ ბრაუნი ამბობს, რომ გუნდმა სეზონის წინ ახალი მანქანის სრულყოფის გეგმა ვერ შეასრულა. მისი თქმით, მანქანას სიჩქარე აკლია და ამის გამოსწორება ერთ კვირაში, ანუ პირველი ეტაპისთვის მოსალოდნელი არაა.**

ლანდო ნორისს და მის ახალბედა თანაგუნდელ ოსკარ პიასტრის ტესტებზე საშუალო შედეგები ჰქონდათ. ტესტების შედეგების მიხედვით, MCL60 ვერ არის ის მანქანა, რომლითაც ისინი ლიდერებთან მიახლოებას შეძლებენ.

ბრაუნი ამბობს, რომ ახალ სარბოლო ავტომობილს სატესტო ხარვეზები აქვს და რაც მთავარია, ვერ შესრულდა მანქანის სრულყოფის გეგმა, რომელიც ინჟინრებს ტესტებისთვის ჰქონდათ დასახული. შესაბამისად, გუნდი პირველი რბოლისთვის კარგ შედეგებს არ ელის.

„მაკლარენს“ გასული სეზონის წინ, მუხრუჭებთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, რომელთა გამოსწორებასაც დრო დასჭირდა. გუნდის ახალი შეფი ანდრეა სტელა იმედოვნებს, რომ ახალი მანქანა წინამორბედის გაუმჯობესებული ვარიანტია, თუმცა მისი მუშაობით ბოლომდე კმაყოფილი არაა.

**„სეზონის განმავლობაში ჩვენ ტოპ ოთხეულის გუნდად ჩამოვყალიბდებით. რეალისტები თუ ვიქნებით, ტოპ სამეულთან ბრძოლა რთული იქნება, მაგრამ სეზონის განმავლობაში, ოთხეული ჩვენი მიზანია“,** – ამბობს „ფერარის“ ყოფილი ინჟინერი. გასული სეზონი უოკინგელებმა მეხუთე ადგილზე, „ალპინის“ უკან დაასრულეს.



# გელათის ბედზე ზრუნვა საპატრიარქომ ითავა

**გელათის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებს საპატრიარქო უხელმძღვანელებს, ხოლო კულტურის სამინისტრო მიმდინარე სამუშაოებს ფინანსურად უზრუნველყოფს.**

შესაბამისი გადაწყვეტილება ეროვნულ მუზეუმში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. შეხვედრას კულტურის მინისტრთან, თეა წულუკიანთან ერთად საპატრიარქოს წარმომადგენლები, არქიტექტორ-რესტავრატორები, ხელოვნებათმცოდნეები და პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე ესწრებოდნენ.

**„ჩვენი დისკუსია დავაფუძნეთ იმ პრობლემებზე, რომლის აღმოფხვრაც გელათის სამონასტრო კომპლექსში ჩემი მინისტრობისას ძალიან აქტიურად დაიწყო. შევთანხმდით შემდეგზე, რომ საქართველოს საპატრიარქო იზიარებს ჩემს ინიციატივას, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსში პრობლემების აღმოფხვრის, კონსერვაციის და რესტავრაციის პროცესებს, როცა ამის დრო დადგება, როგორც კედლის მხატვრობაზე, ასევე გადახურვაზე სრულად სათავეში ჩაუდგეს საქართველოს საპატრიარქო და სამინისტრო აღარ იყოს ამ პროცესში წამყვანი. სამინისტრო იმ ფინანსურ რესურსს, რომელიც თავად უნდა დაეხარჯა, გადასცემს საქართველოს საპატრიარქოს და ის ამ ფინანსური რესურსით შეძლებს, წარმართოს პრობლემების აღმოფხვრის პროცესი, როგორც ძირითადი ტაძრის შიგნით და გარშემო, ასევე სხვა კომპლექსის კომპონენტებთან დაკავშირებით. იქ არაერთი სხვა პრობლემაც არის, რომლის მოგვარების პროცესი დაწყებული გვქონდა და ამ პრობლემების მოგვარებას გააგრძელებს საქართველოს საპატრიარქო“,** – განაცხადა თეა წულუკიანმა.



მისივე თქმით, შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ გელათის სამონასტრო კომლექსთან დაკავშირებით დისკუსიის პლატფორმა და ფორმატი იქნება საქართველოს საპატრიარქოში.

**„ის ლოჯისტიკური საშუალებები, რაც იქნება საპატრიარქოსთვის საჭირო ამ პროცესის განსახორციელებლად, მაგალითისთვის, ის მაღალი სტანდარტის და სიცოცხლისთვის უსაფრთხო, დაახლოებით 900 ათასი ლარის ღირებულების ხარაჩოები, რომლებიც 2021 წლის დეკემბერში შეიძინა სახელმწიფომ, ასევე უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცემა საქართველოს საპატრიარქოს და, რასაკვირველია, ისინი სწორედ ამის წყალობით შეძლებენ, რომ იქ კონსერვაციის სამუშაო წარიმართოს სრულფასოვნად.**

# ყველიერის, მიტევების კვირიაკე




**26 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ყველიერის, მიტევების კვირიაკე აღნიშნა.**

...შენდობის დღეს ჩვენ, ქრისტიანები გამოვითხოვთ პატიებას, მიტევებას არა მხოლოდ ნაცნობებისგან, არამედ უცხო ადამიანებისგანაც.

ხშირად კამათობენ იმაზე, თუ რატომ უნდა ვითხოვოთ შენდობა უცნობისგან, როცა მის წინაშე არაფერი დაგვიშავებია.

...საგულისხმოა ისიც, რომ ყოველი ადამიანი შემცოდე ღვთისა და კაცის წინაშე, თავისი არასწორი, არაეკლესიური ცხოვრების მიზეზით ხელს უწყობს ქვეყანაში ცოდვის გამრავლებას, რაც ადამიანის ფსიქიკაზე, მის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ ცხოვრებაზე მოქმედებს.

ამიტომ უნდა ვთხოვოთ მოყვასსა და უცხოსაც შენდობა, რადგან ჩვენი მიზეზით სამყაროში შეცოდება ხდება. ეს მოყვასზე ხილულად თუ უხილავად, რასაკვირველია, მოქმედებს. ჩვენთვის – ქრისტიანებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია ის, რომ შენდობა ვითხოვოთ... შემდეგ როცა სარწმუნოებაში გავძლიერდებით, გულწრფელობაც მოგვეცემა.

**გიული ლიპარტია**

# აკაკი ჯორჯაძე



**გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი არჩილის ძე ჯორჯაძე.**

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული შემოქმედი და მამულიშვილი, რომლის თითოეული ნაბიჯი, ნააზრევი მშობელი მიწის პრობლემებით, მის წარსულზე, აწმყოსა თუ მომავალზე ფიქრით იყო გაჯერებული და ცდილობდა, მტლედ და სალბუნად დასდებოდა სამშობლოს სისხლმდინარე იარებს.

აკაკი ჯორჯაძე დაიბადა 1939 წლის 20 მაისს გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო და სწავლა იმჟამინდელ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო, რომელიც 1964 წელს დაასრულა.

აკაკი ჯორჯაძემ გაიარა დიდი გზა რიგითი მუშაკობიდან დიდი ორგანიზაციის მთავარ ინჟინრობამდე, წარმოების უფროსობამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის საელმავლო დეპოში, ელმავალმშენებელ ქარხანაში, საკონსტრუქტორო ბიუროში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, პლასტმასის ქარხანაში. 1978 წლიდან კი მისი ცხოვრებისეული გზა მთლიანად დაუკავშირა აქტიურ სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „განთიადის“ განყოფილების გამგე, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორი, დააარსა პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა კულტურულ-ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭო, ერთ-ერთი დამფუძნებელი და პასუხისმგებელი მდივანი იყო საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისა, რედაქტორობდა ალმანახ „საწმისს“, გაზეთებს („მეტი სინათლე“, „მძლეველი“, „ახალი იერუსალიმი“, „გზა ჭეშმარიტი“, „ძველი-ახალი სიტყვა“), იყო გამომცემლობა „ბერმუხას“ დირექტორი. დააფუძნა აკაკი ხორავასა და იოსებ ნონეშვილის საზოგადოებები. ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ სახელმწიფოებრივ მოძრაობა „ახალ სიტყვას“, „საქართველოს ეროვნულ საბჭოს“, გაერთიანება „მძლეველს“...

აკაკი ჯორჯაძე სამწერლო ასპარეზზე 1965 წელს გამოჩნდა, როდესაც ჟურნალ „დილაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობა „გასეირნება“. მას შემდეგ მწერლის ნაწარმოებები – რომანები, მოთხრობები, პიესები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ორგანოებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

აღიარება და მოწონება ხვდა წილად აკაკი ჯორჯაძის რომანებსა და მოთხრობებს, ისეთებს, როგორიცაა „ანგელოზი დედამიწაზე დააბიჯებს“, „ნისლს ქარი ფანტავს“, „მამონას მონა“, „მუმლი მუხასაო“, „წარმოდგენა, რომელიც დადგმას ელის“, „ბიჭო გოგია“... ან რა გასაკვირია, მწერლის თითოეული ნაწარმოები ხომ ქვეყნის გადარჩენის ძალუმი წყურვილითაა დამუხტული, იმ იარებისა და წყლულების სააშკარაოზე გამოტანის სურვილით, თუნდაც ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ბარბაროსთა ბატონობამ რომ გაუჩინა ჩვენს ეროვნულ სხეულს.

აკაკი ჯორჯაძის კალამს ეკუთვნოდა მნიშვნელოვანი პიესები „პატარა ოჯახის დიდი საზრუნავი“ და „ვინც სიგარეტის წევას თავს არ დაანებებს...“

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მისი პუბლიცისტიკა გულმდუღარე ერისკაცის პუბლიცისტიკაა, მშობელი ერის გამოღვიძების წარმატებული მცდელობაა. ამის დასტურია პუბლიცისტური სტატიების კრებულები „წერილები“, „ჩემი სიმართლე“, „ო, ეს პოლიტიკა“...

აკაკი ჯორჯაძის ნაწარმოებები ითარგმნა უცხოურ ენებზე, ცალკე წიგნებადაც გამოიცა სომხეთსა და რუსეთში, შევიდა ანთოლოგიებში, ხოლო ლიტერატურულ კონკურსებში უმაღლესი პრემიებით აღინიშნა...

ბევრი დიდი პიროვნული ტკივილი დაითმინა ამ შესანიშნავმა შემოქმედმა მხოლოდ იმიტომ, რომ თანამოძმეთათვის მიეცა უებრო მაგალითი იმისა, როგორ უნდა შესწირო ყველაფერი იმას, რასაც ყველაზე დიდი ჭეშმარიტება ჰქვია სახელად – სამშობლოს, შენს საესავ საქართველოს...

**საქართველოს მწერალთა კავშირი**



**საქართველოს საინჟინრო აკადემია აცხადებს, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი**

# ვაჟა შუბლაძე

**და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

# „მოსათვინიერებელი მწერლების“ მუდმივმოქმედი მუზეუმი

**2 მარტს მწერალთა სახლში რეპრესირებული მწერლების მუზეუმი გაიხსნება. მუდმივმოქმედ გამოფენასთან ერთად, დამთვალიერებელი გაეცნობა პაოლო იაშვილის 130 წლისადმი მიძღვნილ დროებით ექსპოზიციას.**

მუდმივმოქმედი ექსპოზიცია და დროებითი გამოფენა გვიამბობს ტოტალიტარული სახელმწიფოსა და მწერლების ტრაგიკული დაპირისპირების ამბებს, იმ მეთოდების შესახებ, რომლებსაც სისტემა „მწერლობის მოსათვინიერებლად“ იყენებდა.

მუზეუმის გახსნის ფარგლებში ნაჩვენები იქნება მწერალთა სახლისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლობით შექმნილი **შალვა შენგელისა** და **მიხეილ ბასილაძის** დოკუმენტური ფილმი **„რეპრესირებული მწერლები“**. ფილმი მოგვითხრობს ოთხი რეპრესირებული მწერლის: **ნიკოლო მიწიშვილის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა** და **ტიციან ტაბიძის** შესახებ.




რეპრესირებული მწერლების მუზეუმი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ავტორსა და მოვლენას დაეთმობა, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა წარსულის სიღრმისეულ გააზრებას და მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ამ თემაზე ეროვნული მასშტაბის დისკუსიისთვის.

ექსპოზიციაზე იმუშავეს მაგდა ცოცხალაშვილმა, მარიამ ნატროშვილმა, დეთუ ჯინჭარაძემ, და ნინო ანდრიაშვილმა. მუზეუმის ფინანსური მხარდამჭერები არიან – „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, ამერიკის საელჩო საქართველოში და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის CARDIF-ის ფონდი.

რეპრესირებული მწერლების მუზეუმის ექსპოზიციაში გამოყენებულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს შსს აკადემიის არქივის, საქართველოს პირველი არხისა და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის საზოგადოებრივი არქივის მასალები.



## ცნობილი „ზვავი“ ქიათურის სცენაზე

**ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში თუნჯურ ჯუჯენოღლუს პიესა „ზვავის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართა. პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. სპექტაკლს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.**

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მაგისტრანტი **გიორგი ქლაინია,** რომელიც გახლავთ ა(ა)იპ „ხელოვანთა ლაბორატორიისა“ და „თბილისის საერთაშორისო სტუდენტური თეატრალური ფესტივალის“ დამფუძნებელი. აგრეთვე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კონკურსში – „სტუდენტი რეჟისორების სპექტაკლების დადგმის ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტის (სპექტაკლი „ზღაპარი დაკარგულ დროზე“) ინიციატორია.

პიესაში „ზვავი“ შიში წარმოჩენილია, როგორც მოძველებული ტრადიცია, რომლის დარღვევაც სოფელს უბედურებას მოუტანს. მაღალმთიანი სოფლის ჩაკეტილ მოსახლეობაში შიშს იმდენად აქვს ფესვი გადგმული, რომ ისინი არც კი ცდილობენ დადგენილი წესების დარღვევას. შიში ადამიანის ფსიქიკას თრგუნავს, განურჩევლად ეპოქისა და ეროვნებისა – სწორედ ეს იდეა გახდა პიესის საერთაშორისო აღიარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. დრამატურგი ცდილობს აჩვენოს, რომ გამოგონილი ადათ-წესების გამო იკარგება ადამიანის თავისუფალი ნება. და იქნებ შეუძლია ადამიანს სხვა გზის პოვნა?! იქნებ ამ მდგომარეობიდანაც არსებობს გამოსავალი?! ასეთ მოაზროვნე ადამიანს ეძებს დრამატურგი პიესაში და პოულობს კიდეც. თუნჯურ ჯუჯენოღლუს პიესა „ზვავი“ რამდენჯერმე დაიდგა ქართული თეატრის სცენაზე.

## თვითმარქვია გმირი

**ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერმა რამზან კადიროვმა საკუთარი თავი ჩეჩნეთის რესპუბლიკის გმირის წოდებით დააჯილდოვა. მედალი მას რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ მაგომედ დაუდოვმა გადასცა.**



დაუდოვმა განაცხადა, კადიროვი პირველია, რომელმაც ეს წოდება მიიღო და დასძინა, რომ მისი ღვაწლი ჩეჩნეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მიმართ „განსაკუთრებული შესწავლის ღირსია“.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის გმირის მედალი თავად კადიროვის განკარგულებით 2022 წლის ოქტომბერში დაწესდა. თავის „ტელეგრამზე“რეგიონის ლიდერმა დაწერა, რომ აპირებენ ჩეჩნეთიდან უკრაინაში მებრძოლების დაჯილდოებას. წოდებაზე პოზიციის მიხედვით, დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილებას ჩეჩნეთის ხელმძღვანელი იღებს. თებერვლის შუა რიცხვებში ჩეჩნეთის მეთაურმა რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანით მიიღო „ხალხის მამის“ წოდება.

## ესეც ამერიკული სამართალი...



**პაკისტანელი ძმები გუანტანამოს ციხიდან 20-წლიანი პატიმრობის შემდეგ, ბრალის წარდგენის გარეშე გაათავისუფლეს..**

53 წლის აბდულ რაბანი და 55 წლის მოჰამედ აჰმედ რაბანი პაკისტანში, ქალაქ კარაჩიში 2002 წლის სექტემბერში დააკავეს. 2004 წელს ისინი ავღანეთში მდებარე ამერიკული ციხიდან გუანტანამოს ციხეში გადაიყვანეს. ორივე ძმა ამტკიცებდა, რომ გუანტანამოში გადაყვანამდე ისინი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) ოფიცრებმა აწამეს. პენტაგონი ამტკიცებდა, რომ აბდულ რაბანი „ალ-ქაიდას“ წევრი იყო, მისი ძმა მოჰამედ აჰმედი კი დაჯგუფების ლიდერების მოგზაურობას უწევდა ორგანიზებას. ახლა აბდულ რაბანი და მოჰამედ აჰმედ რაბანი უკვე პაკისტანში იმყოფებიან. ორივე მათგანის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2021 წელს არის მიღებული, ჯერჯერობით უცნობია, რატომ რჩებოდნენ ისინი პატიმრობაში.

## ჯონსონს ნატოს გენმდივნობა სურს

გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე საკუთარ კანდიდატურას წარადგენს.

**„ნატოს სათავეში ჩადგომა? მშვენიერი აზრია. იცით, სავსებით კარგი აზრია. მინდა ხაზი გავუსვა, ძვირფასო მეგობრებო, რომ ასეთი ჩანაფიქრი მაქვს და არავის დაავიწყდეს, რომ ასეთი კანდიდატი რეზერვშია. ვფიქრობ, ამჯერად გამიმართლებს“,** – აღნიშნა ჯონსონმა.



ბორის ჯონსონს მიაჩნია, რომ არ არის აუცილებელი, მომავალი გენერალური მდივანი ევროკავშირის მოქალაქე იყოს. ინფორმაციისთვის, ნატოს გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგს უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის ოქტომბერში ეწურება.

## ტატუირებული კატისთვის პატრონს ეძებენ

**მექსიკის ქალაქ ხუარესში 1 წლის კატისთვის, რომელიც ციხეში ცხოვრობდა, ახალ პატრონს ეძებენ.** ის ციხეში იპოვეს, სადაც კრიმინალური დაჯგუფების წევრები მას სასტიკად ეპყრობოდნენ. როგორც აღმოჩნდა, მათ ცხოველს ტატუც კი გაუკეთეს. ადგილობრივი მთავრობის თქმით, კატა ძალიან კომუნიკაბელურია და ახლა მისთვის ახალ პატრონს ეძებენ.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 მარტს**

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6325; ევრო - 2.7889;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1629;
100 რუბლი - 3.4760; თურქული ლირა - 0.1399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5508;
1000 სომხური დრამი - 6.7651

### ამინდი 27 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | -1, | დღე +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე +15 |

დასავლეთი საქართველო:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე +19 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge